

140

1977

საქართველოს  
ფილმების  
საერთაშორისო  
ფესტივალი



# საქართველო

5  
1977



„კომუნალი რელატიუნი“  
 ამ ლოტოვით აბროვებან ლითონის ჯართს ნორჩი ენთუზიატები.



წლებადელი შეხვედრა მაინც სხვაა. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი გამოზარდა, მათ შორის ოცი მედალოსანი, ისინი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე შრომობენ. სკოლა კი ისევ თავისად თვლის მათ, შემოქმედებით ანგარიშს ითხოვს მათგან. ამ შეხვედრაზე საპატიო სტუმართა შორის ელოდებიან რაიკომის მდივანს ზაქარია მანთაშაშვილს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს აბესალომ ასათიანსა და ზაურ ციხელაშვილს, ჟურნალისტ ეთერ ასლაძეშვილს, პარტიული და სამეურნეო აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებს, წარმოების მოწინავეებს.

კლასებში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული კედლის გაზეთები. პი-

# ლილი ზეივის პოლოდიონი

ელეარე ჩაჩანიძე

ფოტო ა. კობრაშვილისა

გაზაფხულია დმანისის ხეობაში. მთებს კარგა ხანია შეუხსნიათ ყინულის საყინძი, საამოდ აფერადებულიან. ლალად მოაქანებს კეჩუთიდან მღვრიე ტალღებს მამავერა. მზე დაჰხარის ამწვანებულ მიწებზე. ფერღობებზე ნახირი ვაშლილა, უფრო ზემოთ ყორულებზე ნისლის თეთრი ფთილებივით მოჩანან ცხვრის ფარები.

მდინარისპირა სოფელში ხეთა ვარჯების მწვანე ფონზე თანდათან იკვეთება ლამაზი ორსართულიანი შენობები. ჩვენ განთიადში ვართ...

დმანისის რაიონში როცა განთიადს ახსენებენ, მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობას გულისხმობენ — გამრჯე ადამიანებით დასახლებულ სოფელს მამავერას სანაპიროზე. მაგრამ არის აქ მეორე, ალისფერი განთიადი — ადგილობრივი სკოლის პიონერული

რაზმეული, რომელიც ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება რაიონში.

„მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი და ხევთა შინა არს არყანლი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი, წყაროიანნი. აქ არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი“, — ჩამჩურჩულეს სადღაც ახლოდან ვახუშტი ბატონიშვილი და ამ განწყობილებით შევედივარ სკოლის ეზოში...

ყურთამდე ღია სადარბაზო კარი, გრცელ ფოიეში პლაკატები, მაწოდებანი, თითქოს დიდი ზეიმის მოლოდინში ცხოვრობს სკოლა და ეს ასეც არის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილე კარზეა მომდგარი, გაისად კი თვით განთიადის სკოლას უსრულდება დაარსებიდან ოთხმოცი წელი. ემზადებიან პედაგოგები, ემზადებიან მოსწავლეები, რაზმები, ვარსკვლავები. როგორც გავლილი გზის გადახედვა, როგორც ძალთა საბრძოლო დათვალიერება, ეწყობა შეხვედრა სკოლის კურსდამთავრებულებთან. ასეთი შეხვედრები, კარგა ხანია, ტრადიციად იქცა, მაგრამ

ოქნერული პრესის მთავარი თემა „ოქტომბრის გზით, ლენინის გზით“, რასაც შინაარსობრივად ექვემდებარებოდა მოსწავლეთა შორის შეგებული დისციპლინის განმტკიცებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების საკითხები.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე შრომისა და სწავლის ფრიადოსანი მარინე დევნოზაშვილი თვითონვე რედაქტორობს რაზმეულის გაზეთ „პიონერის ხმას“. უფროსი პიონერხელმძღვანელი იზოლდა ოქრაძე პიონერულ აქტივზე დაყრდნობით განსაზღვრავს რაზმეულის სადღეისო ამოცანებს და სახავს მათი შესრულების ძირითად მიმართულებებს.

ალისფერყელსახვევიანთა წინამძღოლს საზრუნავს რა გამოუღევს განთიადის საშუალო სკოლაში 260 მოსწავლეა, აქედან ასამდე პიონერი — ხალისიანი, დაუდევარი ხალხი. მათი ინტერესების მრავალფეროვანება ხელმძღვანელისაგან მოითხოვს მუშაობის ახალი ფორმების ძიებას, საზრიანობას, ოპერატიულობას. მართლაც, ოპერატიულ



შტაბს წააგავს პიონერთა ოთახი. ოთახი პატარაა, მაგრამ ჩანს, რომ აქ მიზნობრივად არის გამოყენებული ყოველი კუთხე-კუთხუთი. თვალსაჩინოდ ადგილზეა გამოკრული რაზმეულის პერსაპექტიული გეგმა, ალისფერ ქსოვილზე ოქროსფერი ასოებით ნაწერი „პიონერის საზეიმო დაპირება“. ფოტოგაზეთი „ლენინი გორაკაში“, გემოვნებით მოწყობილი ინტერნაციონალური მეგობრობის კუთხე. აქვეა დიავრაძის სათაურით „ჩვენი აქტივი“, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოსახავს აქტივისტების განლაგებას სამუშაო უბნებზე. ოქტომბრელთა კუთხეს ამშვენებს წარწერა „ჩვენი ნორჩი ხელებით“ და გამოფენილი ნაკეთობანი: ფიწალი, ფოცხი, ეგვრი, საჩეჩელი, გვირისტი ნაკერი ლოგინი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ოქტომბრელ ეკა ბერიძის ნაქსოვი პატარა ხურჩინი.

ჩინებულმა მოსწავლემ, რუსუდან ფეტვიანიშვილმა.

პარალელურად მიმდინარეობს ოპერაცია — „ოქტომბრის 60 წლისთვის სამოცი დამკვრელური კვირა“. ამ ოპერაციაში მონაწილეებს, შრომითი საქმიანობის გარდა, მოეთხოვებათ იყვნენ სანიმუშონი სწავლასა და ყოფაქცევაში. ამჯერად რაზმებს შორის გამილია შეჯიბრება მკულატურის მოგროვებაში. ყოველ შაბათს ჯამდება შედეგები, ჩილოვდებიან გამარჯვებულები და ისახება ღონისძიებანი მომავალი კვირისათვის.

სი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდა და მაკულატურის შეგროვებაშიც მხოლოდ ოდნავ ჩამორჩებოდა № 1 რაზმს, საერთო გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მას მიეკუთვნა. გამარჯვებულებს, № 4 რაზმის წევრებს, საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჯილდოები. — თვითნაკეთი ვარსკვლავები. ამყად დადიოდნენ თანატოლთა შორის სახელოზე მოციმციმე ვარსკვლავებდაბნეული წარჩინებული მოსწავლეები, ლაურა მანთაშაშვილი, ირაკლი ციხელაშვილი, დავით ადეიშვილი და სხვები.

ასე იყო ამ ბოლო კვირასაც, როცა სკოლის დირექტორმა თეუხარ აკრიტიდმა და უფროსმა პიონერ-ხელმძღვანელმა იზოლდა ოქრადემ შეაჯამეს შეჯიბრების შედეგები, გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი მკულატურა № 1 რაზმს შეეგროვებინა. იმის გამო, რომ № 4 რაზმს უკეთე-

თვითონ დირექტორი პიონერული მუშაობის ვეტერანია, ყოფილი უფროსი პიონერხელმძღვანელი. დაჯილოდებულია სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომით ომის წლებში პიონერებთან გაწეული ნყოფიერი მუშაობისათვის, ხოლო პიონერული

სადღესოდ წინ წამოწეული ღონისძიებების გასატარებლად რაზმეულის შტაბი კარგად იყენებს თვალსაჩინოდ გამოკრულ ღოხუნებს:

„ყურადღება. მიმდინარეობს ოპერაცია „ზამს — პიონერული რელები“. სკოლის ყველა რაზმი, ყველა პიონერი მონაწილეობს ამ ოპერაციაში. გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, ჯამდება მიღწეული შედეგები. ლითონის ნამსხვრევის შეგროვებაში თავი ისახელა № 1 რაზმმა და მისმა ხელმძღვანელმა, წარ-



შრომის ზიიფი ოპოზობრალეზას უღვთ ფილი.



**კვიკი**

**5**

**აიისი**

**1977**

სააკთველო აკაკი შკალაძის პ. ლენინის სახელობის კომუნალური ორგანიზაციის რეკონსტრუქციური სამუშაოს ყოველთვიური სააკთველო ჟურნალი

გამოდის 1926 ფილიდან

საქ. კვ. შკალის გამომცემლობა

კ. შკალაძის სახელობის კომუნალური ორგანიზაციის რეკონსტრუქციური სამუშაოს ყოველთვიური სააკთველო ჟურნალი



თ. ალუაზილი, კედლის გაწვითი რედაქტორი რ. ფიჭვიაშვილი, ალუაზილი, რაჭმელის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დეკანოზი მ. დევიდოვილი, ს. ზ. ნთაუაზილი, ნ. ჩაჩალაზილი ინი-ლაჰენ რედაქტორები შემოსულ მასალას.

გარიშზე აქვთ ყოველი კაპიკი. უკვე მოაგროვეს 600 მანეთზე მეტი. კიდევ ცოტა და ექნებათ საჭირო თანხა ზოიას ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად.

ნორჩი განთიადელები მოუთმენლად ელიან იმ დღეს (ალბათ ეს დღე სკოლის დაარსების 80 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი იქნება), როცა დიდების კვარცხლბეკზე შემდგარი ზოია მათთან ერთად იზეიმებს, ხალისიანი პიონერული ცხოვრების თანამონაწილე გახდება.

მანამდე კი ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ნორჩები ბეჯითად სწავლობენ და შრომობენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ ზეიმზე ჩვენი უკიდევანო სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ სტუმრებს უჩვენონ ყველაფერი ის, რაც თავიანთი პატარა ხელებით გააკეთეს, რითაც თავი მოსწონთ, რაც ეამაყებათ.

ნაცნობი და მეგობარი კი ბევრი ჰყავთ განთიადელ პიონერებს. ამ ნაყოფიერად მუშაობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი „გლობუსი“. კლუბის წევრებს მიმოწერა აქვთ ბევრი სკოლის პიონერთბთან. უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის მალოვისკოვის რაიონის სოფელ პლეტიონი ტაშლიკის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა განთიადელებს საჩუქრად გამოუგზავნეს თავიანთი რესპუბლიკის გაზე-

ორგანიზაციის დაარსების 30 წლისთავზე მასვე გადაეცა საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის, განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს საპატიო სიგელი.

სკოლის პიონერულმა რაზმეულმა შარშან 1780 კილოგრამი მაკულატურა ჩააბარა და ჯილდოდ მიიღო რადიოლა „სერენადა“. პიონერები წლეულსაც არ თმობენ მოწინავე პოზიციებს, დაგეგმილი აქვთ კვლავაც შემოქმედებითად გამოიყენონ ჯერ დაუხარჯავი დამკვრელური კვირეები.

განთიადელი ნორჩი პიონერები აქტიურად მონაწილეობენ ოპერაციაში „სამშობლოს — მწვანე სამოსი“, სკოლის ეზოში და საცდელ ნაკვეთზე გაშენებული აქვთ ყვავილნარები, მრავალწლიანი ნარგავები, მოწყობილი აქვთ საბუნებრივი, მონაწილეობენ სოფლის გამწვანება-განაშენიანების ვეგმის შესრულებაში.

მათი მთავარი საზრუნავი კი მაინც სკოლის წინ მოწყობილი სკვერია, სადაც 1975 წლის 9 მაისს საძირკველი ჩაეყარა ზოია კოსმოდე-მიანსკაიას ძეგლს.

სკოლის დირექტორი თაუხარ აკრიბიდი ნორჩ მუშაობთან.



მოსწავლეები დღითიდღე ალაგა-ზაგან სკოლის შემოგარანს. განსაკუთრებული ზრუნვითაა გარემოსილი ადგილი, სადაც დაიდგმება ზოიას კვავი.



განთიადის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული გმირი ქალიშვილის სახელს ატარებს. ნორჩებმა იციან, რომ მათ ბევრს ავალეს ეს სახელი და ამიტომ ცდილობენ იყვნენ სწავლასა და შრომაში ისეთივე შეუდრეკელნი, როგორც იყო ზოია. გარდა საცდელი ნაკვეთისა მოსწავლეებს გაპროვინებული აქვთ მოსაველეად კარტოფილისა და სიმინდის ნათესები. შარშან ოთხ ჰექტარზე კარტოფილისა და 9 ჰექტარზე სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

შრომითი ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს მოსწავლეები თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ან-





1

ტოტებგაშლილი, ამაყად  
ველზე დგას მუხა ტანმსხვილი,  
ბევრი უნახავს სისხლის ღვრა,  
მტრის შემართული მახვილი.  
მაინც დგას ჯანგაუტები  
იმედად მწვანე მდელოსი...  
მეც მუხასავით ვიქნები  
საყვარელ საქართველოსთვის.

2

აი, აქ გაჩნდა. ამ მთებში  
ზვიადად აღმართულია,  
უფალავ საუკუნეებს  
მის მხრებზე გადაუვლია.  
ამ კლდეს, გოროზს და პიტალოს,  
ვუცქერ ხშირ ხავსით შემოსილს...  
მეც ამ კლდესავით ვიქნები  
საყვარელ საქართველოსთვის.

3

რიურაუზე ამობრწყინდება  
სხივებს სირმებად გადმოშლის,  
დახედავს კუთხე-კუნჭულსა,  
სითბოს მიუტანს გათოშისს.  
მოივლის ცხრა მთას, კვლავ მოვა,  
დღეს ღამის ბინდბუნდს შემოხსნის...  
მეც ამ მუხასავით ერთგული  
ვიქნები საქართველოსი.

4

სვანეთის მთებში შობილი  
შავ ზღვისკენ მიემართება;  
ქართულ მიწაზე იწყება,  
ქართულ მიწაზე მთავრდება.  
თავს ადგას, როგორც გვირგვინი,  
მადლი კაშხალის ჩეროსი...  
მეც ენგურივით მღელვარე  
ვიქნები საქართველოსთვის.

5

გავიზრდები და გავხდები  
კაცი სიტყვის და საქმისა;  
სინდისის ქისა მეყოფა,  
არ მინატრია სხვა ქისა.  
ვინ გამინელებს სიყვარულს  
ვარდებით ნაქარგ მდელოსი...  
მეც ცოტნესავით ერთგული  
ვიქნები საქართველოსი.

თები „ზირკა“ და „მოლოდოი კომუნარი“. განთიადელებიც თავიანთ მხრივ ვალში არ დარჩნენ, უკვე გაუგზავნეს „დედაენის“ საიუბილეო გამოცემა, თბილისის ხედები, გაზეთები „ნორჩი ლენინელი“ და „ანაღაზრდა კომუნისტი“, ამზადებენ ალბომს „ჩვენი რესპუბლიკა ფოტოებში“, დაგეგმილი აქვთ დელეგაციების გაცვლა.

მიმოწერა აქვთ სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის სოფ. ნაღბანდიანის სკოლის პიონერებთან, ლიტვის სსრ ლეკაჩაიის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან და სხვებთან.

განთიადელები შორეულ მეგობრებს აცნობენ თავიანთი რესპუბლიკის, რაიონის, სოფლის ღირსშესანიშნაობებს, შრომით მიღწევებს, უყვებიან თავიანთ საქმიანობაზე, მიზნებზე, მისწრაფებებზე. წერენ და მოუთმენლად ელიან პასუხს. განსაკუთრებით საინტერესოა მათი მიმოწერა შორეულ ინდოეთთან. იქ, ქ. ბომბეში, მუშაობს საბჭოთა ავიაინჟინერი იოსებ ციხელაშვილი. ბარათებთან ერთად იოსები თავისი მშობლიური სკოლის ნორჩ პიონერებს უგზავნის ფოტოებს, სამახსოვრო საჩუქრებს, უყვება ბევრ საინტერესოს ინდოელი ბავშვების ცხოვრებიდან.

განთიადელ პიონერებს თავიანთ ზეიმზე იოსებიც ჰყავთ მოწვეული საპატიო სტუმრად და გულისფანქალით ელიან მასთან შეხვედრას.

საბჭოთა ავიაინჟინრის მოღვაწეობა სამშობლოს გარეთ დიდ საფიქრალს აძლევს ნორჩებს. ისინი ხედავენ, თუ რა დიდი და ძლევაძმოსილია ჩვენი სამშობლო, როგორ ეხ-

მარება იგი მსოფლიოს ბევრ ჩამორჩენილ ქვეყანას. იოსების მაგალითი შთააგონებს პიონერებს იყვნენ ღირსეული მოქალაქენი, გაუფრთხილდნენ და ამრავლონ სამშობლოს ძლიერება.

სწორედ ამ სულისკვეთებით წარდგნენ განთიადელები გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის რაიონულ დათვალიერებაზე, დაისაკუთრეს პირველი ადგილი და მონაწილეობა მიიღეს შემდგომ ეტაპზე ქ. გორში გამართულ „ცისკრის“ სამხედრო თამაშობებში. განთიადელმა მოსწავლეებმა აქაც ისახელეს თავი და საპატიო ჯილდო — საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „იზვესტიის“ დიპლომი დაიმსახურეს.

სკოლას ჰყავს თავისი „მეცნიერებიც“. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აქაური ნორჩი ფენოლოგები. ისინი სისტემატურად ახდენენ დაკვირვებებს ფრინველთა მიმოფრენაზე, ამინდზე, მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. მოკვლეულ მასალებს აწვდიან ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურ სადგურს.

მათმა ნამუშევრებმა მოწონება დაიმსახურა და ნორჩ ფენოლოგთაგან საუკეთესონი — რუსუდან დაუთაშვილი, ნანა ქსენოდოხოვა, მზია კავლელიშვილი და გიორგი მანთაშაშვილი ზაფხულის არდადეგების პერიოდში მიწვეული არიან ტურისტული მარშრუტით „დიდების გზით“ სამოგზაუროდ.

ასე სწავლობს და შრომობს ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის პიონერული რაზმეული, არ უშინდება სიძნელეებს, მიდის ნათელი მიზნისაკენ.





# თქი აღათის ცოაღი

ელეჯა  
მარაბიშვილი

მხატვარი  
რეზა ცუცხერიძე

მოთხრობა

აბა ამდენ რამეს როგორ ეტყოდა ბედუქას.

— კიროვის სახელობის პარკში ვნახე ამ ორი წლის წინათ. ვიცი, რომ ბასმაჩას ეძახიან. ისიც გამივია, რომ ორჯერ არის შორეულ გადასახლებაში ნამყოფი და ორჯერვე შუა აზიაში, ალბათ ამის გამო დაარქვეს ბასმაჩა... თვალის ციხეში დაუკარგავს.

მაიორი და ვახტანგი მოუახლოვდნენ ბავშვებს.

— აბა, რომელი თქვენგანი იცნობს დაზარალებულს? — იკითხა მაიორმა. ეტყობოდა, გოგონებმა უთხრეს.

— მე ვიცნობდი, — წინ წადგა ავთო. — მხოლოდ ის ვიცი, რომ ბასმაჩა ერქვა და ორჯერ იყო ნამყოფი გადასახლებაში.

— ეს სრულიად საკმარისია მისი ვინაობის დასადგენად, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მაიორმა, — მაგრამ ჩვენ კიდევ მოგვიხდება მათი მოძებნა, ვინც მასთან იყო დაკავშირებული. ამხანაგო ვახტანგ, როგორც მოვილაპარაკეთ კარედი ხატი თან მიგვაქვს და იმ გემის მიხედვით ვიმოქმედებთ...

— მეც წამიყვანეთ, — ავთო მასწავლებელს ამოუდგა მხარში, მხოლოდ იმ წუთში გადაწყვიტა, ვისთვის მოეთხრო გულახდილად ყველაფერი.

ვახტანგი თითქოს მიხვდა ბავშვის გულის მოძრაობას, მხარზე ფრთხილად მოხვია ხელი და თვალეში ჩახედა.

— კარგი, წამოდი, — უპასუხა და ახლა დანარჩენებს მიუბრუნდა: — ახლავე დაბრუნდით შუბნიშანთან, დასხედით მანქანაზე და შინსაკენ გაემგზავრეთ. პლატონ, ბავშვებს მიმიხედე, თუ ძმა ხარ, — გასძახა ინჟინერს.

სერჟანტმა ქალღმერთი გახვეული კარედი ხატი ამოარბენინა შუბნიშანის ეკლესიიდან. ჯერ სანიტრებმა შედგეს საკაცე და შიგნით შეიკრიფნენ, მერე დანარჩენებიც ავიდნენ შვეულმფრენში.

— რითი მომკვდარა? — გულმა ველარ მოუთმინა ბედუქას და მასწავლებელს აედევნა.

— მართალი გამოდგა ჩემი ვარაუდი. კლდე მაგას აუფეთქებია დინამიტით. მერე ადგილასაც მოუხდომებია იმავეს გაკეთება, მაგრამ ფალიაში ზონრის ჩამაგრება კბილით უცდია და პირში აფეთქებია ფალია, — უპასუხა ვახტანგმა, ავთო წინ გაუშვა და შვეულმფრენისაკენ წავიდა.

შვეულმფრენმა უკვე აიწია ჰაერში, როცა ველიანებში გაოფილ ცხენებზე ამხედრებული თორნიკე და რატი მოიჭრნენ.

— წაიყვანეს? — იკითხა რატიმ.

— კი არ წაიყვანეს, წაასვენეს, — შეუსწორა ნესტანმა.

— ავთოც კირისუფლად გაჰყვა. — დაუმატა შუქიამ და ამხანაგებს მიუბრუნდა: — რაღას უცდით, წავიდეთ.

პლატონმაც ააჩქარა ბავშვები და შუბნიშანისაკენ გა-

უძღვა. ბეკურა საყდრის კართან იჯდა, ბავშვების წინაშე ვისთანავე წამოდგა და უწინ ის იკითხა, ~~შეიძლება თუ არა~~ თუ არაო.

— რაღა ღვთისმშობელს უნდა აძებნიონ ქურდი და ოხერი. აი, ესენი წაელოთ, არ ერჩივნათ?.. გამოვუტანე კიდევ, ბევრიც ვუჩიჩინე, მაგრამა მილიციონსა რას შეასმენ, არაო, აიხირა, რაც ნაბრძანები მაქვს, ის უნდა წავიღო.

დამწუხრებული ჩანდა. მივიდა და ისევ ლოლზე დასკუბდა.

— მაჩვენე აბა, რა გაქვს ეგეთი, — პლატონი დაიხარა და მოხუცის გაშლილი მუჭიდან რამდენიმე მონეტა აიღო. ერთი ოქროდ ბზინავდა, დანარჩენები ვერცხლისანები ჩანდნენ.

— აი მაგ ფულების ცალები აქვს წაღებული იმ ოხერსა.

— წაიღეს, პაპა, ამისთანა ფულებიც წაიღეს, ჯიბეში აღმოაჩნდა, — უთხრა პლატონმა, — ესენი კი შეგიძლია მუზეუმს ჩააბარო.

— საცა მამა შეიღს შემოსწრომია, ყველა იძახის მეცნიერი ვარო, სათვალავი ამერია... ისევ ამ ბალებს ჩავაბარებ, ვიცნობ მაინცა, ჩვენები არიან, — ბეკურამ უკანვე გამოართვა მონეტები პლატონს და ბედუქას გაუწოდა.

სარესტავრაციო ჯგუფის წევრები აქვე რჩებოდნენ ღამის სათევად, მხოლოდ პლატონი აპირებდა ბარში ჩამოსვლას. ბავშვებს უკვე მანქანის ძარაზე აჰქონდათ ბარგი.

— უთხარი გოგონებს, კაბინაში ჩასხდნენ და ეგ დერგის ნატეხებიც მათ დაიჭირონ ხელში, — ეძახდა ბედუქას პლატონი, — დიდი მანქანაა, სამივე დაეტევა.

მანქანების ნაკადს ნელ-ნელა გამოეყო მილიციის განმასხვავებელი ნიშნებით მონატული მცირე ავტობუსი და ღირნიშნებით აჭრელეულ ძველ შენობას მიადგა. მანქანის კორპუსზე ისევ ფეთქავდა ლილისფერი შუქი.

ვახტანგი და ავთო მაიორს მიჰყვნენ, შიდა კიბე აიარეს და ფართო დერეფანში აღმოჩნდნენ. იქით, საერთო კარით გამოყოფილ მცირე ტალანს ეწერა — „სისხლის სამართლის სამმხრო განყოფილება“. მაიორმა სწრაფად მოარგო გასაღები, კარი გააღო და სუფთად დალაგებულ პატარა ოთახში შეუძღვა სტუმრებს. ვახტანგ მასწავლებელი და ავთო მაიორის პირისპირ დასხდნენ.

— დედათქვენი სამინისტროს აპარატში მუშაობს, არა? — შეეკითხა მაიორი შეცვლილი ხმით.

ბიჭმა დაუდასტურა.

— მაშინ შესაძლოა ეს ციფრები ტელეფონის ნომერია, ხოლო ბოლო ორი — დარეკვის დროს მიუთითებს. რაკი ბინისას არ ემთხვევა, იქნება სამსახურისა იყოს, — თავის თავს ეთათბირებოდა მაიორი.

ავთომ იცოდა, რომ მკვდარს მხოლოდ უბის წიგნაკი აღმოაჩნდა, მაგრამ მილიციამ უკვე იცოდა მისი ვინაობა. ახლა მაიორი იჯდა და ტელეფონების წიგნს ჩხრეკდა.

— აგერ ვიპოვე. საერთო განყოფილების ტელეფონის ნომრებია, — დაფაცურდა მაიორი, — დედათქვენი იმ განყოფილებაშია?

— დიახ.

— კარგად დამაკვირდით, ჩემი ხმა რამდენადმე უახლოვდება თუ არა სეირან დარბაზშილის... ესე იგი ბასმაჩას ხმას, — მაიორმა შეცვლილი ხმით წარმოთქვა მორიგი ფრაზა და პასუხს დაელოდა.

— მისი ხმა უფრო მეტად ისმოდა ხორხიდან, — ავთოს საქმეში ჩახედული კაცივით ეჭირა თავი.



— ქალბატონო ყოზე... მე ბასმაჩა ვარ... ასე?  
— თითქმის...  
მაიორმა ნომერი აკრიფა, ყურმილი ეჭირა და ელოდა.  
— ქალბატონი ყოზე?... ბასმაჩა ვარ... გამოვლა მინდოდა... უკვე გამოდიხარ?... გასაგებია, კარგი, — მაიორმა ყურმილი დადო, ოფლით დაცვარული შუბლი შეიწმინდა და დაფიქრებულმა გააირა ოთახში.  
— სამსახურიდან ნახევარ საათში გამოდის, მაგრამ ცხრამდე შინ არ ვიქნები, მიპასუხა... ესე იგი, ოცდაერთ საათამდე, აქაც ბოლო ციფრი ოცდაერთია, — მაიორმა ქალაქს დახედა.  
— ბინის გასაღები რომ თან ჰქონოდა ავტოს, ამდენს აღარ ვიწვალებდით, — თქვა ვახტანგმა, — ამას შევგზავნიდით.  
ვახტანგ მასწავლებელმა ახლა უკვე ავტოს ყველა საილუმო იცოდა და დედამისის საქმიანობაზეც ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონდა.  
— ანუკას დაუტრეკავ, შეიძლება შინ იყოს, — გამოცოცხლდა ავტო.  
— ეს უკვე იდეაა, — გაეხარდა მაიორს და ტელეფონი გადმოდგა ავტოსკენ.  
„ვინა ვარ ახლა მე?... ორგანოს წარმომადგენელი?... მაშ რა მევალემა, რატომ მომყავს მილიცია საკუთარ ოჯახში... მამის ოჯახში? შინაგამცემი ხომ არ გამოვდივარ?... დედა ყოველთვის ამბობდა, სიძველეთა ნიმუშების მოგროვება ჩემი სულიერი მოთხოვნილებააო, მაგრამ აი რა გამოტყვრა... ვახტანგ მასწავლებელი მართალია, კოლექციონერი ფასეულობას კი არ უნდა ხედავდეს ხელოვნების ძეგლებში, არამედ თვით ნაწარმოებს, როგორც წინაპართა ნააზრევს, ქვაში თუ ლითონში მალალოსტატურად გაცხადებულს...“  
— ...ახლა ჩამოხვედი სოფლიდან?... საიდან რეკავ?...  
— ესმოდა ანუკას ხმა და თვითონაც არ იცოდა, რა პასუხს აძლევდა.  
ვიდრე ოთახიდან გავიდოდნენ, მაიორმა საწვიმარი გადაიცვა, ფორმის ქუდი მოიხადა და ავტო გააფრთხილა, თუ რამეზე დაგვირდებოდა როლანდ ძია დამიძახეო.  
ტაქსი აიყვანეს. როლანდ ძია წინ დაჯდა, შოფრის გვერდით. ათიოდე წუთში ავტო უკვე ნაცნობ ქუჩაზე აღმოჩნდა. ნელა მიაბიჯებდა ტროტუარზე და შორიდანვე ხედავდა ცისფრად შეღებულ ჭიშკარს. კიბე აიარა და სადარბაზოს კართან დარეკა. ეტყობოდა, ელოდა ანუკას, მაშინვე გაუღო, საკოცნელად შეეპოტინა ძმას და თან გაიკვირვა, ილიაში ამოჩრილი კარები რომ დაუნახა, ეგ რა ავითრევიო.  
— ბასმაჩამ გამომატანა, — ავტომ გამომცდელად შეხედა დას. ძალიან უნდოდა, სულ არ სცოდნოდა ანუკას იმ ყაჩაღის ვინაობა, მაგრამ იმედი გაუტყუვდა.  
— სად ნახე? — იკითხა ანუკამ და კარედს ქალაქი შემოახია.  
— იცნობ?! — გაიკვირვა ავტომ.

— როგორ არა, ზოგჯერ მოდის ხოლმე...  
ავტოს აღარაფერი უთქვამს, დერეფანი გაიარა და პირდაპირ განაპირა ოთახისაკენ წავიდა. წავიდა კი, მაგრამ იქვე შედგა გაკვირვებული: ველარ იცნო იქაურობა. კედლები კეთილშობილი ლითონის ფერებში გაცოცხლებულ წმინდანებს ეჭირათ, მოჩანდა ფრესკული ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება.  
ავტო ერკერში გადგმულ მაგიდასთან მივიდა, კარელი ხატი ზედ დადო და ერთხელ კიდევ მიმოიხედა ოთახი მუზეუმს ჰგავდა. ანუკა ისევ შემოფოფოფინა ძმას, მერე მაგიდასთან მივიდა და იქიდან შემოსცინა.  
— გინდა, ჩავრთავ და დედა აგისხნის ყველაფერს, — კლავის დააწვა და მაგნიტოფონი ჩართო.  
„აი, ეს მხარე სულ ანტიკვარულ საგნებს უჭირავთ, ხოლო წიგნის თაროებზე თავმოყრილია იშვიათი გამოცემები... ახლა კედლებზე: აქ წარმოდგენილია რელიგიური ფერწერა და ჭედურობა... ქართლის გარდა აქ შეხვდებით უცხოურს... დიონისეს, რუმბლიოვისა და სხვათა სკოლების ხატმწერთა ნამუშევრებს...“  
ავტომ მაგნიტოფონი გამორთო და ალერსით შეხედა ანუკას.  
— ვის უხსნის? — შეეკითხა.  
— სტუმრები ჰყავდა დაბადების დღეზე...  
— აბა ახლა მე მიგდე ყური, ოღონდ ტრახახი არ გეგონოს, — ავტომ ქალაქი შემოხსნა ხატს, — ქართული ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუში, ია-ყვავილას მძევალი ღვთისმშობელი.  
ანუკამ დიდხანს უყურა ხატს, მერე ტუჩი აიბზუა და საყუდურით შეხედა ძმას.  
— აქ რატომ აკლია ერთი ანგელოზი?... მაგათი ცალი მგონი აქ სადღაც ვნახე, — გოგონამ მეორე მხრიდან მოუარა მაგიდას და უჯრასი დაიწყო ხელის ფათური.  
„ვახტანგ მასწავლებელი მართალია... ეს ბრმა მომხვეჭელობაა, სიძველეთა სიყვარულს ამოფარებული ანგარება, — გაიფიქრა ავტომ, — ღმერთმა ნუ ქნას, რომ იოვანეც აქ აღმოჩნდეს“.  
— სეიფში შეინახავდა, ველარ ვიპოვე, — მოესმა ანუკას ხმა, — თუმცა არა, ავტო არ ყოფილა!  
ავტომ თვალები დახუჭა. არ უნდოდა დაენახა, რა მოჰქონდა მისკენ დას, მას კიდევ სჯეროდა, რომ ანუკას ბავშვური მიაპიტობით მოსლიოდა წმინდა იოვანეს ძებნა საწერი მაგიდის უჯრებში. მტანჯველ ლოდინში გადიოდა წამები. აი, გოგომ თარაზულად დადო ხატი და ზედ ლითონის ფირფიტის მორგება სცადა... ყოველივე ამას თვალდახუჭული გრძობდა ავტო და, როცა თვალი გაახილა, გულს შემოეყარა — მის წინ დასვენებულ ღვთისმშობელს თორმეტევე მოციქული გარს ეხვია, მათ შორის კი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოქრონარევი ფირფიტაში განსხვავებული იოვანე ნათლისმცემელი.  
— ახლა მე წავალ, თორემ ამხანაგები მელოდებიან. ექსკურსიაზე მივდივართ რუსთავის მეტალურგიულ ქარ-

ხანაში, — ძლივს მოითქვა სული ავთომ.

— ამ შუალამისას? — გაიკვირვა ანუკამ.

— არა, ახლა სასტუმროში ვართ, ღამეს გავათევთ და დილაღრიან გავემგზავრებით, — ავთომ დას ლოყაზე აკოცა და კარისკენ წავიდა.

ვახტანგი და მაიორი მანქანაში ელოდნენ.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მაიორმა.

ავთომ მოკლედ უამბო, რაც ნახა და რაც დაუბარა თავის დას.

— ძალიან კარგი. ახლა შეგვიძლია დამშვიდებით დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

ვახტანგმა მძლოლზე ანიშნა.

— მართლა ტაქსის მძლოლი ხომ არ გგონიათ, ჩვენი თანამშრომელია, თქვით, რა გინდათ?

— იმ შედეგს აქ ვტოვებთ?

— დარდი ნურაფრისა გექნებათ, სამეთვალყურო საგუშაგო დავაყენე. ახლა საფაქრებელი სულ სხვა რამეა, ეოზეტა მოვა თუ არა და ნახავს მონატანს, ბასმაჩას მოძებნას არ შეეცდება, რადგან იცის, რომ მას არც მკვიდრი ბინა აქვს სადმე და არც — ტელეფონი, უფრო სავარაუდოა, ავთოს კვალს დაადგეს... თბილისის ყველა სასტუმროში დარეკავს და მაინც იპოვის, უფრო სწო-

რად, იკითხავს, სად ათევენო ღამეს მოსწავლე ექსკურსანტები, მერე მივა და პირადად ინახულებს...

— გავცივია თავი და ეგ არის, — დაიჩიოდა ვახტანგმა.  
— სულაც არა. ახლავე სასტუმრო „კოლხეთის“ საუკეთესო ნომერში მოგათავსებთ. ავთო ანუკასთან დარეკავს და ეტყვის, სადაც არის, ტელეფონის ნომერსაც დაუტოვება. მე ადმინისტრატორს გავაფრთხილებ...

### გიორგის ჟამის თეთრი

ბედუკა და ნესტანი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის კაბინეტს მიადგნენ.

კაბინეტის კარი ღია იყო, გობრონმა კალამი დაღო და შემოეგება.

— მობრძანდით, ყმაწვილებო, ვიცი, უსაქმოდ არ გაირჩებოდით.

— საკონსულტაციოდ ჩამოვედით, — უთხრა ნესტანმა.

— გვინდა გავეცნოთ, თუ როგორ ეწყობა მუზეუმში ნუმიზმატიკური მასალების გამოფენა... მონეტები ვიპოვეთ და სასკოლო მუზეუმისთვის გვინდა, — დაუმატა ბედუკამ.

გობრონმა უკან გადავარცხნილ თეთრ თმაში სავარცხელივით გადაიტარა თითები და ღრმად ჩაეშვა სავარძელში. ჩანდა, რომ საამისოდ არ ეცალა. მაგრამ აი ნესტანმა ქალაღი გაშალა და მაგიდაზე წამოაპნია თეთრად მბზინავი ფულები.

— მოიცა... მოიცა... ეს რა არის? — სავარძლიდან წამოიწია გობრონმა.

— ღმერთო. შენ შემეწიე! — იყვირა უცებ — ამას რას ვხედავ?... საიდანა და როგორო, კაცო, — მონეტები მუჭით მოხვეტა, თვალბთან მიიტანა, მერე დაყნოსა, ააჩხაკუნა და ისევ მაგიდაზე დაყარა, — თქვენ გენაცვალეთ, ტყვეობიდან თავდახსნილებო... გხედავთ, რომ ქართველები ხართ, მაგრამ რომლები, საიდან... რომელი საუკუნიდან, იქნება გეთქვათ ეგეცა... თქვენ მოგიკვდეთ ჩემი თავი, თქვე გაუკითხავებო, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებო, სად იყავით აქამდისა, — უყვავებდა მონეტებს და თავს დასტრიალებდა, მერე მაგიდის უკრაში დაიწყო ფათური, გამადიდებელი შუშა იპოვა, და მონეტებს გულდასმით დაუწყო სინჯვა...

— ჰაა?... შევიშალი თუ რაა? — ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — გული შემიქანდა... სულ აღარ მივარგა ეს ოხერი, — სკამის სახურგზე მიწვა და ძლივს დაიოკა აჩქარებული სუნთქვა. მერე ისევ გამადიდებელ შუშას შისწვდა, კიდევ დახედა მონეტებს და წამოდგა.

— ბავშვებო, თქვენ იცით, ვინა ხართ?... არა, ჯერ არ იცით... ან საიდან გეცოდინებათ... თქვენ ახლა ამ ოთახში შემოიტანეთ შუა საუკუნეების წყვილიადმი უცაბედად ამოსული ერთიანი საქართველოს მზე... ეს მონეტა მისი სიმბოლოა... ოო, რომ იცოდეთ, რამდენს ველოდით მის გამორჩენას. ვუყურებ, მაგრამ ვერ დამიჯერებია, რომ ის არის...

გობრონს ხელისგულზე ედო ვერცხლის მონეტა და მისი ცქერით ტკებობდა.

— წამოდით ახლა და ვისაუბროთ ქართულ ნუმიზმატიკაზე, — ბავშვებს წინ წაუძღვა დარბაზისაკენ. მიდიოდა, თან ხვითოსავით ათამაშებდა ნაპოვნ მონეტას.

ვიტრინასთან გაჩერდა, ბედუკა და ნესტანი აქეთ-იქედან ამოიყენა და ხმა დაიდაბლა.

— აბა, კარგად დააკვირდით. ზოგიერთებივით დაჭეჭყილ, უანგისაგან დახრულ ლითონს კი ნუ დაინახავთ, მამულიშვილის თვალით შეხედეთ... ეგენი ძველი ქართული ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქენი არიან... მათ აღამიანებულ ერთად გაუზიარებიათ თავიანთი ქვეყნის





ბედ-იღბალი... მომძლავრებულან, გალაღებულან, როცა მამულში კეთილდღეობა სუფევდა. ასეთ დროს ვერცხლიც ძალიან სინჯისა და ოქროც. სახელიც დიდი აქვთ მონეტებს და ამასთან ზომა-წონაშიც მატულობენ. გულდასაწყვეტია მხოლოდ ის, რომ ასეთი მონეტები, ქართული წარწერებით ძალიან ცოტაა ჩვენს ნუმიზმატიკაში. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ რიცხვობრივად მცირეს, დიდი კულტურის მქონე ერს ძნელი ბედი არგუნა ისტორიამ. აბა დააკვირდით, მონეტების უმეტესობა ორ ენაზე უბნობს. აქ დამპყრობელის ენა პირველობს, ქართული კი თავაზიანად გაწეულა, განაპირებულა მონეტის შუბლიდან. აბა რა საკადრისია თბილისური დრამებისათვის შუბლზე სუნიტური სიმბოლო. აგერ წარწერაც: „არ არს ღმერთი გარდა ალაპისა, არ ჰყავს მას თანაზიარი“. რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავს, ჩვენ ვმორჩილებთ და მონეტებიც იტანენ დამცირებას. მონეტების მოქალაქეობრივი პატიოსნებაც სწორედ ეგ არის — რაც გადაგვხვდა, ყველაფერი გულზე დაუჭდევიათ და საუკუნეებისათვის შეუნახავთ. ძველი ხელნაწერები, ნუსხები, მატიახეთა ძვირფასი ცნობები მეტნაკლებად ტენდენციურად არის შედგენილი, მხოლოდ მონეტაა უტყუარი, მიუკერძოებელი მოწმე...

აბა, ამობრწყინდა ერთიანი საქართველოს მზე და მხრებში გაიშალა ქართული მონეტაც. ხედავთ, როგორ მელიდურად გამოიყურება? ორნამენტისანი აშოის ცენტრში თამარის ვენზელია ჩახატული, ესე იგი ხელრთვა, ორნამენტის გარშემო კი ქართული ასომთავრული წარწერაა „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407“, არაბული წარწერა კი მონეტის ზურგზეა გადანაცვლებული, თანაც უცხო გავლენით კი არ არის ნაკარანხევი, არამედ ქართული ფულის შორს გავრცელების მიზნით. აბა წავიკითხოთ: „დედოფალი დიდებული, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განაღიდოს ღმერთმან ძლიერანი მისნი“.

აი, ჩაეხვეწა ერთიანი საქართველოს მზე და ქართველებთან ერთად გაუბედურდნენ მათი მონეტებიც. აგერ როგორ დაჩივებულა მომდევნო მონეტა, კეთილშობილება დაუკარგავს, სპილენძისა და თანაც სამარცხვინო დამლა აქვს. წარწერა არაბულია: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა დავით მეფე“. ეს დავით ნარინის მიერ მოჭრილი ფულია. ამის შემდეგ ქართული მონეტები, თქვენც ხედავთ, უბადრუკ, უღიმღამო არსებობისათვის არიან განწირული, რადგან თვით ქართული ყოფა იყო უღიმღამო, მძიმე და საშინელი...

და აი, საუკუნოვან წყვილადში, როცა უკვე აღარავინ ელოდა, ერთხელ კიდევ ამობრწყინდა ერთიანი საქართველოს მზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცნობები, რომ საქართველოს სვიანმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ ერთიან ეროვნულ სახელმწიფოსთან ერთად შექმნა ქართული ეროვნული ფულის ერთეულიც — „გიორგაული“, რომელსაც გიორგის ჟამის თეთრს უწოდებდნენ. დღემდე შერჩენილი მონეტებიდან, რომლებიც გიორგი ბრწყინვალის ხანაშია მოჭრილი, გვაქვს მონეტა, გიორგის ჟამის თეთრად მიჩნეული მკვლევართა მიერ... მაგრამ ბოლო ხანებში დაუდგინდა, რომ იგი იღზან აბუსაიდის მიერ მოჭრილი ფულია... ამაში მე საბოლოოდ დავრწმუნდი მაშინ, როცა თქვენ მაგიდაზე დამიწყეთ... აბა თუ მიხვდებით, რა?..

გობრონი განზე გადა და შეხედა ბავშვებს.  
— გიორგის ჟამის თეთრი, — გაიწკრიალა ნესტანის ხმამ.  
— მეორენაირად „გიორგაული“, — დაემოწმა მეგობარს ბედუკამ.



— სწორია. — სახეგაბადრულმა გობრონმა მხარზე ხელი მოხვია ბავშვებს, აქეთ-იქიდან ამოიყენა და გალაღებული გაემართა კაბინეტისაკენ.

სამივენი ერთხანს მდუმარად იდგნენ მაგიდის წინ და ზედ გაფანტულ ვერცხლის მონეტებს დაჰყურებდნენ.

— აბა ახლა ყურადღებით დააკვირდით ორნამენტოვან ჩარჩოში ჩასმულ ვენზელს. ეს არის მხატვრულად გადახლართული სახელისა და გვარის პირველი ასოები. აღრე მას ხელრთვას უწოდებდნენ. დააკვირდით ჩემი ფანქრის წვერს, როგორ მოხაზავს იგი ასომთავრულ გ-ს და ბ-ს. ნახეთ? იქნებ შემედაოთ, ჩვენ შეგვიძლია მაგ ასოებში გიორგი ბაგრატიონი ვიგულისხმოთ, ასეთები კი ისტორიაში ბევრი იყო. მაგრამ აქვე მოჩანს წარწერა: „მოიჭრა ვერცხლი ესე ინდიკტიონსა მეფეთმეფისა გიორგისა, მეცხრამეტესა“. ეს სწორედ ის ხანაა, როცა გიორგი ბრწყინვალე მეფობდა. აბა ახლა გადმოვაბრუნოთ: მონეტის ზურგზე, როგორც ეს გავლენიანი სახელმწიფოს ფულის ერთეულს შეეფერება, არაბული წარწერაა გადმოტანილი: „გიორგვინოსანთა შორის უპირველესი მეფეთ-მეფე გიორგი ბრწყინვალე“... აი ასე, ჩემო კარგებო, თქვენმა ბედნიერმა ნაპოვნმა, რომ იცოდეთ, ერთი ათი წლის სიცოცხლე მაინც შემმატა...

— ჩვენი კი არა, ბეკურა ჰაპას ნაპოვნია, — დააზუსტა ბედუკამ.

— ეგ სულ ერთია. მთავარია, დიდი აღმოჩენა მოხდა.  
— ძია გობრონ, ეს ოქროს მონეტაც ქართულია? — ჰკითხა ნესტანმა, რაკი შეატყო, რომ იგი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.  
გობრონმა დაუდევრად წამოავლო ხელი განზე გაგო-

რებულ მონეტას.

— ეს ოქრო არ გეგონოთ, ელექტრუმია — ოქროსი და ვერცხლის შენადნობი, ოღონდ ამ მონეტაში ახლა ოქრო ჭარბობს... თურქული ფულია. აი ეს კიდევ ძველი ბერძნული მონეტაა, შედგენილობით ბილონი — დაბალხარისხოვანი ვერცხლი. ამათზე დროს დაკარგვაც არ ღირს, ჩვენთვის მთავარია ეს წმინდა ვერცხლის მონეტები შიგ ჩახატული მზით. ხომ შენიშნეთ მონეტის ზურგზე მთებიდან ამოწვერილი მზე?

— ყველაზე უწინ ეგ შევნიშნეთ, — სახე გაუბრწყინდა ნესტანს.

— მთელ გზაზე, სანამ შუბნიშანიდან სოფელში ჩამოვედით, სულ ხელში გვეჭირა ეს მონეტები, მთებს შუა ტაძრის ლანდიც მოჩანს, — თქვა ბედუქამ, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სიტყვა შეუწყდა, კარი გაიღო და ოთახში ვახტანგი შემოვიდა.

— ვიპოვეთ იოვანე ნათლისმცემელი, — შესცინა გობრონს და სულმოუთქმელად მოუყვა, რაც თბილისში გადახდათ.

— ავთო სადღა? — იკითხა ნესტანმა.

— ავტობუსში დავტოვე. ისე სოფელში როგორ წავიდოდი, რომ აქ არ შემომეველო... კარგია, თქვენც აქ დამხვდით, — თვალებით მოესიყვარულა ბავშვებს.

— რომ იცოდე, ვახტანგ, ჩვენთან უკეთესი სიახლეა. ჩვენს წინაშეა ქართული ნუმიზმატიკის დიდი შენაძენი — გიორგის ჟამის თეთრი, — გობრონმა ჯერ მოაგროვა და მერე ისევ გაშალა მაგიდაზე ვერცხლის მონეტები.

— რას მეუბნები! — გაოცდა ვახტანგი და მაშინვე მონეტებს ეცა.

გობრონმა გამადიდებელი შუშა მიაწოდა და რაკი თვითონ უკვე ზეპირად იცოდა ყველა წარწერა, ამოკითხვაში დაეხმარა კოლეგას, მერე ახლოს მივიდა, ხელი ჩამოართვა და დიდხანს აჯანჯლარა, გამარჯვებას გილოცავო, შესცინოდა, მერე ბავშვებს დაემშვიდობა და შუბლზე აკოცა ორივეს.

— მასწავლებლო, იქ როგორ იქნება საქმე? — გაბედა ბოლოს ბედუქამ, როცა ვახტანგთან მარტო დარჩნენ.

— ნუ გეშინია ყველაფერს უჩვენოდ მოეცლება. ახლა მთავარია, სწრაფად დავამუშაოთ შეგროვილი მასალა და მოვახსენოთ ტურისტულ სადგურს პირველ ეტაპზე გაწეული მუშაობის ამბავი.

— ვახტანგ მასწ., — თქვენ როგორ შენიშნეთ, მონეტის ზურგზე ხატია თუ არა ია-ყვავილას ტაძარი? — ჰკითხა ნესტანმა, — ამასზე გუშინდლიდან ვკამათობთ.

— კარგად არ დავკვირვებოვარ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ არა. შეიძლება გიორგი მეფეს მთელ თავის სიცოცხლეში გაჰყვა ჭაბუკობისდროინდელი სიყვარული და თავისი დაკარგული ოცნების ლამაზ ტაძრადაც მიაჩნდა ია-ყვავილა, მაგრამ როგორც მეფეს, უფლება არ ჰქონდა ასეთი უპირატესობა მიეცა მისთვის...

— მამ ტყუილად დავარქვით ნაპოვნს თრიალეთის ციალი? — გული დასწყდა ნესტანს.

— რატომ ტყუილად. ვინც რას დაინახავს მასში, ის იქნება. დაე ერქვას თქვენებურად, რაკი ასე მოგიწადინებიათ... გიორგის ჟამის თეთრი ანუ თრიალეთის ციალი.

ლაპარაკში შეუმჩნევლად მიადგნენ ავტოსადგურს. ვახტანგი სალაროსთან მივიდა. ბილეთები აიღო და ავტობუსისაკენ წაუძღვა ბავშვებს.

ავთო საარკმელთან იჯდა და დაფიქრებული გაჰყურებდა თრიალეთის ნისლადაკრულ მთებს, რომელთა შუაგულში მიწიდან ამოფეთქილი ია-ყვავილა მოთმინებით ელოდა ნორჩ მკვლევართა რაზმს.



ლილარ  
ივარღააა

## ბასა უბრაბა მოგავეალთან

იმ უმაღლესი ნატურის  
ახლომა არის, მჯერა,  
სამშობლო — რწმენის ხატი,  
სამშობლო — მზე და კერა!

## სადგურის დაბადება

სულხან  
აბლაქაძე



მხატვარი  
ლიმიტრი  
ზარაფიფილი.

იგი ტრამალის შვილი იყო,  
უბრალო,  
ჯანით სავსე,  
ომის დროს, ფრონტზე  
გაჰყვა ჯარისკაცებს.  
ხატადან დიდ სადგურამდე  
ჩავიდა ფეხით,  
მამა გუთნისკაცი ჰყავდა,  
მშრომელი გლეხი.  
და განა მარტო ის —  
სხვებიც,  
ასიოდე,  
ხატადან სადგურამდე  
ფეხით დადიოდნენ.  
მართალია, აქ  
მატარებელი დაჰქროდა,  
მაგრამ სუტორში  
გაჩერება არ ჰქონდა.  
... და ამ სუტორიდან

დაგვაქვს მომავლის ტრფობა,  
 არა ხარკად და ღალად, —  
 ქართველი გმობს და გმობდა  
 ქვეყნად ყოველგვარ ღალატს!  
 მაგრამ სამშობლოს ღალატს,  
 ხალხის ორგულს და ვერაგს,  
 არა და არა, არა! —  
 ვერა და ვერა, ვერა!  
 ვერღა ითვისებს წუთით,  
 ვერ აპატიებს წამით, —  
 იყოს მფლობელი სუნთქვის,  
 მხილველი დღის და ღამის.  
 ყველაზე ძვირად უღირს  
 მშობელი მიწა ქართველს.  
 წყევლა და კრულვა უღირსს,  
 ვერ ჭერებდეს ხვალის ნათელს!  
 და ახლა ყველამ ვიცით,  
 და ჩვენც ვიართ ისე,  
 შეგვრბეთ უნადღეს ფიცით —  
 და გზებს გაუყვეთ მზისკენ...  
 მალე, სულ მალე, მალე  
 შევადებთ ნათლის კარებს  
 და საქართველო ხვალე  
 მოუსმენს შენსა ზარებს.  
 შენსას!  
 ნათელი თვალის,  
 ნახავს ფერების ბრუნვას, —  
 უპირველესი ვალი  
 სამშობლოზეა ზრუნვა.  
 უღიადესი ჰანგი,  
 უღიადესი ფერი  
 არის მწვერვალთა რანგის  
 და მომავლისთვის მღერის,  
 განა სიტყვით ან ენით,

განა უბრალოდ, ყალბად —  
 საქმით და მუდამ რწმენით  
 ივლი წინ, ივლი, ალბათ.  
 — ალბათ კი არა, შესძლებ!  
 გჯეროდეს, მარად გწამდეს,  
 ახლა სამშობლო შენზე  
 იმედს ამყარებს ამდენს.  
 ნორჩო თაობავე,  
 რწმენით! —  
 ახალი სიო დაჰქრის, —  
 არა სიტყვით და ენით —  
 ხალხს ვემსახუროთ საქმით.  
 ... ზღვათა მღელვარე წიად  
 ელავს ამაყი გემი, —  
 გემი — დღეს ვიტყვი:  
 — დიას!  
 ეს სამშობლოა ჩვენი!

სოფლის ფუძეს მართლაც,  
 ამგვარ გზნებით გენია თუ იწვის,  
 აქ ყველაფერს  
 მძლავრი რიტმი მართავს,  
 და ამაღლებს ენერჯია მიწის.  
 იგუგუნე, დედამიწავ, ძლევიტ,  
 იგუგუნე შრომის მაღლით, მარად! —  
 შენ — გლეხკაცის მოუღლევი ხელის  
 სიწრფელე და სისპეტაკე გფარავს.

## სიყრმის უერაღები


იმღერე გულო, იმღერე,  
 სიმღერის მუდამ მჯეროდა,  
 და დაემსგავსე იმ ღლეუს,  
 ბავშვობის დროს რომ მღეროდა.  
 პაწია ღლეე, ანკარა,  
 მოწანწკარებდა ვერცხლივით,  
 რომელიც მერე, აშკარად,  
 ხსოვნას შემორჩა ცეცხლივით.  
 შემორჩა, როგორც ნამდვილი  
 ტრფობის ბოლომდე გატანა.  
 თავზე ნისლების მანდილით,  
 მომწყურდა ღლეე — პატარა,  
 რომელზეც მიმოფანტულა  
 ჩემი სიზმრების სამყარო.  
 შენ, ჩემო თვალეხატულავ,  
 იმ დროსთან ვინღა გამყაროს.  
 რა იყავ, რა ჟრუანტელი,  
 ჟრიალი მარტო ჩანგების, —  
 ახლაც მამღერებს ნათელი  
 იმ სიზმარულ ჰანგების.

## საბავშვულო

სხვა ეშნი აქვს  
 გაზაფხულის ღრუბელს —  
 ელვა-ჭეჭა მაჯისცემად ახლავს.  
 ავსებია ფერით ღორთქო უბე:  
 ბაღს,  
 ვენახებს,  
 ყამირსა თუ სახნავს.  
 მოდის თქეში,  
 ჟრუანტელის მგვრელი,  
 (გამხმარ ტოტზე დაყრანტალებს  
 ყვავი),  
 წნელის ღობე  
 გლეხკაცის ხელს ელის,  
 ტყე, სანახი ფერადებში ჰყვავის.  
 სხვა ძალა აქვს

წასული ყმაწვილი,  
 თერგიდან ბერლინამდე  
 ბრძოლებში გაჭრილი,  
 გმირთა გმირი გახდა,  
 სიცოცხლის მლოცავი...  
 ვაი რომ, შინ ვეღარ  
 დაბრუნდა ცოცხალი.  
 და ახლა გმირის პატივსაცემად,  
 გულის გამხარებლები,  
 ხუთ წუთზე მეტს ჩერდებიან  
 ჩქარი მატარებლები.  
 მგზავრები ჩადიან,  
 მგზავრები ადიან,  
 და ეს ყველაფერი  
 იმ ბიჭის მაღლია,  
 უბრალო,  
 ჯანით სავესე,  
 ომის დროს ფრონტზე რომ  
 გაჰყვა ჯარისკაცებს...  
 ახლა გმირის ხუტორი  
 ერთ-ერთი სადგურია.

სადგურთან ობელისკს  
 შენიშნავთ ასვეტილს —  
 ფოლადის წარწერა  
 ამშვენებს ასეთი:  
 „მტერს არ დაანება  
 მშობელი მიწა —  
 ყმაწვილი გმირად და  
 სადგურად იქცა“.





**ქალაქი  
გიგაჰვილი**

ა მ თ ხ რ ო ზ ა

მხატვარი  
ზ. შიქვაძე

სისხამი დილა იყო. პატარა ქალაქის აფთიაქს ბულუტელა ბიჭი მიადგა, ფეხის ცერებზე აიწია, ზარის დილაკს მისწვდა და ააწკრილა. ჯერ ღამის დარაჯის ფეხსაცმლის ბაკაბუკი გაისმა, მერე რკინის ურდული ჩაბრაზუნდა, გასაღები გაჩხაკუნდა და მუხის მალა-ლი კარი გაიღო.

- დილა მშვიდობისა, ვანო ძია.
- ამ რიჟრაჟზე რა მოგარბენინებდა?
- ძილის ანგელოზი ხომ არ დაგიფრთხე?

— მა რაა... წუხელ შუალამისას წამომავდეს, ქედანას სამიკიტნოსთან კაცი დაჭრეს და არიქა, წამლებით. მმართველთან აგვარდი, ლოგინიდან წამოვანტუნე... ვიდრე იმათ გაისტუმრებდა, შუალამე გადავიდა.

— ჩვენს უბანშიაც სულ ბათქაბუთქი ისმოდა.

— მა რაა, ახლა ყველას თოფი აქვს და დამშლელი არავინ არის!

ბიჭმა ორივე განიერი სარკმლის დარაბები გამოაღო და გვერდებზე მიკეცა. ხანდაზმულმა დარაჯმა გვერდითა

დერეფანში თავისი ლოგინი ააღებდა და გამოსძახა:

— ერთგულება წყალს კიდევ მოგიტანთ, მერე ჩემს გზას ბარაქას დავაყრი და მთელი დღე შენ იცი და მავათ. ამ მკათათვის პაპანაქებაში კაი დრო ატარეთ.

მარტოდ დარჩენილმა ბულუტელამ რეცეპტარის კათედრის მინა გაწმინდა, წამლების მოსამზადებელი მაგიდების მონიკვლებული სასწორები ააბოზინა, ღია კარადებთან კიბე მიანჩინა, ზედ ავიდა და ბლონდის ნაჭრით ბროლის ლიტრების წმენდა დაიწყო. თან თითოეულზე კითხულობდა ლათინურ წარწერებს: ტინქტურა ვალერიანე, სპირტუს პაპირ, ოლეა რიკინუს...

კედლის საათმა ცხრის ნახევრის ზარი ჩამოჭკრა თუ არა, უკანა კარიდან მმართველი შემოვიდა, თვალი მიმოავლო, ბულუტელას გაუღიმა და კათედრასთან მდგარ მალალ სკამზე შესკუპდა. მას მოჰყვა ძმისწული ბაბილინა, იისფერთვალემა ქალიშვილი. ბიჭმა წინ დაუდო ოქროს გულსაბამი.

— აჰ, სად იპოვნე?!

— ქუჩიდან შემოსასვლელ კართან. დირეს კუთხეში.

— ყოლიფრად ასეთი კარგი რავა ხარ, ჩემო ჭუჭულო!.. დეიდის სახსოვარია და...

მკლავი მოჭხვია, შუბლზე აკოცა და მიიხუტა. ამას თვალი შეასწრო წინა კარიდან შემომავალმა ფარმაცევტმა მედეამ და ხუმრობით შეუტია:

— აბა, აბა, არ გადაიბირო ჩემი ბულუტელა!

მმართველმა გადმოხედა ბიჭს და ქალიშვილებს უთხრა:

— კი უნდა გიყვარდეთ ჩვენი შავლე, მარჯვეა, ნიჭიერია და სინდისიანი.

მოფერებამ და ქებამ ბიჭს გული აუჩვილა. ეს შეამჩნია პროვიზორმა და განგებ გაუწყრა:

— კიბე, კიბე გაიტანე, ცხრა საათი სრულდება.

ბიჭი ადგილიდან მოსხლტა, გულიც გაიმაგრა და კიბეც გააჩოჩა ლაბორატორიაში.

მალე ფარმაცევტი მარგოც მოვიდა და აფთიაქში გაჩაღდა ჩვეულებრივი სამუშაო დღე — რეცეპტების მიღება, წამლების მზადება და გაცემა...

ნაშუადღევს, შესვენების შემდეგ რომ დაბრუნდა, ბიჭმა ნახმარი ფილები, დანადგარის ქვაბურები დააწკრილა და მეორე წყებაში მომუშავე პროვიზორ ვარლამ ლოსაბერიძეს ჰკითხა:

— გაზეთებისათვის გავიქცე?

მალე მას „ერთობა“ და „საქართველო“ მიუტანა, თავისთვის კი ჟურნალი „ცისარტყელა“ ეყიდა. პროვიზორმა გაიკვირვა:

— მთელი დღე მუშაობ, კვირაობი-  
თაც კი და... მაგ ჟურნალებს როდისღა  
კითხულობ?

— ღამე, ცხრა საათზე რომ მივდი-  
ვარ შინ.

— დღეს არც ისე ბევრი რეცეპტია...  
შენი დახმარება აღარ გვინდა. მე და  
ნინო ყველაფერს მოვასწრებთ... ფანჯა-  
რასთან დაიდგი სკამი და იკითხე... ვინ  
იცის, როგორ მიგდის სული! — უთხრა  
ფარმაცევტმა ცირამ.

შავლე გატაცებით კითხულობდა, ვარ-  
ლაში კი გაზეთებს ათვალერებდა და  
თან ფიქრობდა: ბოროტებაა ამ ბიჭის  
სკოლიდან გამოყვანა. სულ რამდენიმე  
თვეა, რაც ჩვენთან დაიწყო სამსახური,  
ლათინურის კითხვაც თვითონვე ისწავ-  
ლა და ათიოდე წამლის დამზადებაც...  
მის ნიჭს განვითარება უნდა... რამე  
უნდა ვიღონო...

უცებ შაშხანების სროლა გაისმა.  
პროფიზორს ფიქრი გაუწყდა. ცირა და  
ნინო ლაბორატორიაში მიიმაღნენ. ბა-  
ბილინამ სალაროს უჯრა დერეფანში  
გაიტანა. ქუჩაში მოსიარულეთა ერთი  
ნაკადი აფთიაქის დარბაზში შემოიჭ-  
რა... შავლე სარკმელს მიეკრა და ცქე-  
რა დაუწყო უჩვეულო სურათს: წინა მო-  
ედანზე და ბაღის მოაჯირის გასწვრივ  
ქართული ლეგიონის ჯარისკაცები დამ-  
წკრივებულიყვნენ, შაშხანები ცისკენ

საყვირებით აღემართათ და ელვასა  
და გრგვინვას აფრქვევდნენ. შუალედ  
წამებში ვიღაცა რაღაცას ღრიალებ-  
და... ვარლამმა გაოცებულ ბიჭს დას-  
ძახა:

— დარაბები მისურე, დარაბები...  
და მოშორდი ჩქარა!

თოფების ქუხილი ზღაპრული ელიას  
ეტლივით მიგრიალებდა დასავლეთისა-  
კენ და კარგა ხნის შემდეგ სრულიად  
მიწყდა. ჭერებზე იდ დაყრილი ადამი-  
ანები წამოიშალნენ და ერთმანეთს ეკი-  
თხებოდნენ: რა მოხდა, ნეტა რა ამბა-  
ვიაო. ერთმა განაცხადა: აჯანყებაა, მაშ  
რა ჯანდაბააო. მეორემ გაიკვირვა: იმ-  
პერატორი ხომ დაამხეს, ახალი რევო-  
ლუცია ხომ არ უნდათო. მესამემ დარ-  
წმუნებით შესძახა: უნდათ, როგორ არ  
უნდათო.

ქართული ლეგიონის მიერ მაზრის  
ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლის  
შემდეგ სამი დღე გავიდა. მეოთხე დი-  
ლის ბინდბუნდი იყო. ზარბაზნების ქუ-  
ხილმა და თოფების გახშირებულმა  
ჭახჭახმა შავლე ტახტიდან წამოაგდო.  
აფთიაქში მისვლისასღა გაიგო, რომ  
თბილისიდან ჩამოსულ ჯავშნიან მატა-  
რებელს დაეშინა ლეგიონისათვის და  
კვლავ აღედგინა ადრინდელი მმართვე-

ლობა. ორივე მხრივ ბევრი იყო დაჭრი-  
ლი და მთელი დღე მათთვის მზადლე-  
ბოდა წამლები. მითქმა-მოთქმისათვის  
არავის ეცალა და ბიჭს ვერ გაერკვია,  
ამ სისხლის ღვრაში ვინ იყო დამნაშა-  
ვე. იღუმალად წუხდა. ეს ყველამ შე-  
ატყო, მაგრამ პირველად ბაბილინამ  
ჰკითხა:

— ჩემო ძამიავ, ხომ არაფერი გტკი-  
ვა?

შავლეს ნაცვლად ვარლამმა უპა-  
სუხა:

— მაგის ტკივილები მე ვიცე... ჩემი  
ძმა გობრონი აქ გადმოდის მასწავლებ-  
ლად... ის განკურნავს.

ავგისტოს მიწურულში ჩამოსულმა  
გობრონმა ბიჭი გამოცადა და ვარლამს  
უთხრა:

— მათემატიკაში მარჯვეა, ქართულ-  
ში — შესანიშნავი, რუსულშიც არა  
უჭირს რა...

ძმის თხოვნით მასწავლებელმა იმ  
შაბათსავე მიუტანა შავლეს სახელმძ-  
ღვანელოები. სწავლასმოწყურებულმა  
ყმაწვილმა ის ღამე კინადამ თეთრად  
გაათენა. ხან გორგაძის ქრესტომათი-  
აში მოთავსებულ ლექსებს კითხულობ-  
და, ხან წერეთლის „მსოფლიო ისტო-



რიას“ ათვალეურება... მეორე დღეს კი ვარლამმა ახარა:

— შავლე, ბატონი ექვთიმე შუადლის შესვენებას საათით გიხანგრძლივებს... გობრონი თვითონ ივლის თქვენსას და ოთხის ნახევრიდან ხუთამდე გამეცადინებს...

პირველი სექტემბრიდან საახალწლო არდადეგებამდე არც მასწავლებელს გაუცდენია და არც მოსწავლე დახვედრია მოუშუადებელი. დეკემბრის მიწურულს გობრონმა შეაქო და გაამხნევა:

— ამ ოთხ თვეში კარგად შეისწავლე მეხუთე კლასის კურსი... გაზაფხულამდე შეექვსე კლასის პროგრამასაც დასძლევ და შენს ტოლებს დაეწევი. ახლა კი ცოტა დაისვენე... შვიდი იანვრიდან განვაგრძოთ მეცადინეობა.

არდადეგების დღეებში სახელმძღვანელოებს დაეხსნა, მაგრამ ბებიასეულ „ვეფხისტყაოსანს“ ყოველ დამე გატაცებით კითხულობდა. დედა უწყურებოდა, ლამპის შუქზე ამდენი კითხვით თვალები არ დაიშრიტო, ბაბილინას ნაჩუქარ პუშკინის თხზულებათა კრებულში „დამხრჩვალი“ ისე მოეწონა, რომ მისი თარგმნა მოუნდა. ქუთაისიდან დაბრუნებულმა მასწავლებელმა ფრიად მოუწონა გალექილი თარგმანი, გადააწერინა და სკოლაში წაიღო, მასწავლებლებსა და მოსწავლეებსაც გააცნობო. მეორე დღეს მეცადინეობა განაახლეს. კვირა კვირას მისდევდა, თვე თვეს. მოახლოვდა გამოცდების დღეები და იმატა ბიჭის გულის დღევამ.

ბოლო მეცადინეობის დასასრულს მასწავლებელმა შავლეს აცნობა, რომ სკოლის ინსპექტორი მისი გამოცდებზე დაშვების წინააღმდეგი იყო, კლასში არ უვლია, შეუძლებელიაო. სიტყვიერების მასწავლებელმა გიორგი ციცქიშვილმა გაიგო ეს და ცეცხლი შეუწითო: ცარიზმის მზაკერული ხუნდები დროა სკოლასაც მოვამოროთო. ახლა სიკეთისა და პატიოსნების კანონით უნდა ვიმოქმედოთ... დაემუქრა და დაითანხმა. ზეგ პირველი გამოცდა მათემატიკაშია, არ იღვლო, ყველა საგანს კარგად ჩააბარებო.

ორშაბათ დილით შავლე სკოლაში მოვიდა და სამასწავლებლოსთან აიტუზა. არ ეშინოდა, მაგრამ გული მაინც უფრთხილებდა. სამასწავლებლოდან გობრონი გამოვიდა, გაუღიმა, ინსპექტორი შეგიყვანს მეექვსეკლასელებთან, ყოჩაღად იყავო, და თავის საგამოცდო კლასს მიაშურა. მალე ინსპექტორი გამოვიდა, შავლეს ხელი დაუქნია და დაიბუხუნა.

— მომყე!

შეიყვანა კლასში, პირველი მერხიდან ერთი უკან გადასვა და მისი ადგილი შავლეს მიუჩინა. დაფაზე დაწე-

რილი ამოცანა და მაგალითები მან თავის რვეულში გადაიტანა თუ არა, გული საგულეში ჩაუჯდა, ეს რა ადვილებიაო. დინჯად ამოხსნა, შეამოწმა, მაგრამ მაშინვე არ ჩააბარა. ინსპექტორმა იფიქრა, უჭირსო... მიუახლოვდა, დახედა, გადაფურცლა, ნაყვავილარ სახეზე ხელი ჩამოსვა და რატომღაც ჩუმად ახარა:

— სამივე სწორია, ყოჩაღ!

სხვა საგნებში მომდევნო გამოცდებზე მიღებული მაღალი ნიშნებიც უყოყმანოდ დაამტკიცა და ყველა გაათცა — ამ კრიჟანგ გრძელცხვირას, აფთიაქის



ბიჭისთვის სულ ხუთიანები ჩაუმწკრივებიაო.

აფთიაქის ბიჭმა მკათათვის დამეგები „დონ-კიხოტის“ კითხვასა და მომავალზე ოცნებაში გაატარა. მარიამობისთვის დამდეგს მოულოდნელად ჩამოვიდა აფთიაქის პატრონი ვოლოხოვი და იჯარით მმართველ ფხაკაძეს

შესთავაზა მისი მთელი ქონების შესყიდვა. პატროსან ექვთიმეს საჭირო თანხის მეხუთედ იც არ აღმოჩნდა: ორსართულიანი დიდი სახლი, აფთიაქი, ლაბორატორია და სარდაფში გამართული ლიმონათის ქარხანა ერთობამ შეიძინა. ფულის მიღებისთანავე ვოლოხოვი საფრანგეთში წავიდა. ფხაკაძე თბილისში გადავიდა სამუშაოდ, ხოლო ვარლამ და გობრონ ლოსანბერიძეებმა ქუთაისში წასვლა არჩიეს. აფთიაქის გამგედ რუსეთიდან გამოქცეული ისიდორე რამიძე დანიშნეს. ეს ამბები ისე ჯარასავით დატრიალდა, რომ შავლე გაოგნდა. კაემანს არც აფთიაქში, არც სახლში არავის უმეტავენებდა. ლოგინში ჩაწვევოდა თუ არა, უვალწინ დაუდგებოდა ბაბილინას გამომშვიდობება, ჩურჩულივით მოესმოდა ვარლამის სინანულით ნათქვამი: მივდივართ და ამ ბიჭის დარდი მიგყვება, სკოლა რომ ვერ დავამთავრებინეთო...

ახალი გამგე ყველას უბღვერდა. ერთიმეორის საწინააღმდეგო განკარგულებებს იძლეოდა და მათი უმედგობის გამო ცოფდებოდა... კამერის ღვიძლივით ცალურჯებულ ცხვირს დააცემინებდა, თვალებს გადმოკარკლავდა, ნახშირისფერ სამკუთხედა წვერზე კოტიტა ხელს ჩამოსვამდა და დაიდრიალებდა: „ეტო ბალშოე ზლო!“ პროვიზორებს დიდ ვერაფერს უბედავდა და ჯავრს შავლეზე იყრიდა. ერთ შუადლისას შენიშნა, რომ ბიჭი ლაბორატორიაში არა ჩანდა და როყოდ იყვირა:

— რაფერ გაწუწკა ყველა... კუ და უშოლ ეტა ძაღლიშვილი?!

ფარმაცევტმა ნინომ მოახსენა:

— მალე დაბრუნდება, სადილის შესვენებაზეა.

— სადილი არა, პიკნიკი... ერთი ფინჩხა მჭადი ვერ მეიტანა?!

— სისხამ დილიდან ღამის ათ საათამდე მუშაობს, თუ ცოტა არ შეი...

— ენა მისივე, თვარა!.. — დაემუქრა და წინა კარიდან ბაღში გავიდა.

შეურაცხყოფილმა ნინომ ცრემლი მოიწმინდა და მწარედ შენიშნა:

— რა ჭირი შეუდგათ ამ ახალ ბატონებს... მეფის ჩამოგდებამდე გაიძახოდნენ, მუშაობა მხოლოდ რვა საათით, ახლა კი ამ ბავშვის თორმეტსაათიანი მუშაობაც არა ჰყოფნიო...

მედვა მოფურა, მაგ გაიძვერას რომ ვას გულთან ნუ მიიტანო, და ჩაიღუღუნა:

— რვეოლუციამ მოსპო თავადებისა და ბურჟუების მთავრობა და ახლა ამისთანა ვირემშაკები გავითავადდნენ... ქონებას იხვეჭენ უშრომლად... აი ესეც დაგვხმამავს ხოლმე და მერე ბაღში ერთობა ყოფილ მოხლეუებსა და თავადებთან ლაზღანდარობით... ახ-



ლაც მათთან გავიდა, შაბათ-კვირას კი სანადიროდ წავა ბატონკაცურად.

ღვინობისთვის ერთ შაბათსაც წავიდა ისიდორე სანადიროდ და კვირა საღამოს ხელცარიელი დაბრუნდა. ღვინით გაღვნილი შავლეს ენის ბორძიკით უბრძანა, ზედა სართულზე ამომყეო. ჯერ დაჭანჭანებული წადები დაახდევინა და მერე ფეხების დაბანვა მოსთხოვა. თბილ წყალში ჩადაგა ფეხები თუ არა, ბიჭს ჰკითხა:

— აბა, ჩამოკაკლე, ჩემზე ვინ რას არაკუნებს, და კაცად გაგხდი!

— მამბუნდარა კი არა ვარ!..

— არა? არას იტყვი?.. — და მის წინ ტაშტთან ჩაცუცქულს ისე მაგრად ამოჰკრა ფეხი, რომ გულადმა გადაახეთქა და თან დასძახა: — ჰაიტი, შე ძაღლის შვილო!

შავლე გონს მოვიდა თუ არა, ფოცხვერით შეახტა დედის ავადმასხენებელს, ხელები ყელში წაუჭირა, თავი კედელზე მიარტყმევინა და ხროტიანი რომ დააწყებინა, მაშინდა შეუშვა ხელი, იატაკზე გადმოხტა, ოთახიდან გამოვარდა, კიბეზე დაეშვა და გარეთ გამოიჭრა.

დიდხანს ისეტიალა ქუჩაში, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა.

— აფთიაქში მივალ დილით და, რაც მოსახდენია, მიხდეს! — გადაწყვიტა ბოლოს.

დილით აფთიაქში მისულმა ორთქლის ქვაბი გაახურა გამოხდილი წყლის მოსამზადებლად და მიქსტურებისთვის წამლეულობის მოსახარშავად. მერე დიდ ლაბორატორიაში გავიდა სამუშაოდ. ის იყო ამთავრებდა სპირტუს ვინისა და პიტნის ნაყენის გაფილტვრას, რომ თავს დაადგა სახეშეშუპებული ისიდორე და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

— ფარმაცევტებს უთხარი?

— რად უნდა ამედლევიზინა?!

— დედას?!

— გულს ხომ არ ჩავუკლავდი!

— მაშ, აწი არც არავის გააგები-

ნებ... ვაჟკაცი ბადანა ყოფილხარ! — მხარზე მოუთათუნა ხელი და გავიდა.

შავლე გაოგნებული დარჩა...

ზაფხულის კვირა დღეს ბაღის კიდესთან შეგჯუფებულთა ხმაური ეუცნაურა. შუადღის შესვენებიდან ამომავალმა, ბანკის სათვალთან მოხელისა და თეთრხალათიანი ჭაბუკის, კამათს მოჰკრა ყური. მაღალი ახალგაზრდა გაცხარებით ამბობდა:

— ცარიზმის მტარვალთა თავგანწირულმა მებრძოლებმა დაამხეს, რევოლუციის მონაპოვარს კი გაიძვირები დაეპატრონენ. შრომით, ცოდნითა და პატიოსნებით ბედნიერების მოპოვების გზები ახლაც კვლავ გადახერგილია... დიახ, ქალაქსა და სოფელ-სოფელ იმიტომ დავდივართ, რომ ხალხს სიმართლე ვუთხრათ. ჩვენი მიზანია სრული სოციალური თანასწორობა და ეროვნული სოლიდარობა, ნამდვილი შრომის სუფევის დამყარება!

შავსათვალანმა ჯერ ჰკითხა, ამ ღობეზე გამოზმული თეთრი ცხენი ხომ შენიაო, და დასტური რომ მიიღო, ჩაუსისინა:

— რაღა გიჭირს, როსინანტიც გყოლია, გმირი დონ-კიხოტი ბრძანდები!

ორიოდემ უნდილად გაიცინა, შავლემ კი შესძახა: „გაუმარჯოს ჩვენს დონ-კიხოტს!“ აფთიაქის ეზოში შესვლისას ისიდორეს შეეფთა.

— დაბადების ახალი მოწმობა გიშოვე... დღეიდან თორმეტისა კი არა,

თოთხმეტისა ხარ... აწი პროფესორ „კახეთის მუშის“ თავმჯდომარე იბოდიანლებს, ასე პატარის სამსახური დაუშვებელიაო... ოღონდ უკეთესად იმუშავე...

... ივლისის ერთ ხვატიან დღეს ბიჭი შეუძლოდ გახდა, შინ ბარბაცით მივიდა. ლუკმა ვერ ჩაიღო, მხოლოდ ერთი ჭიქა ცაცხვის ყვავილის ნახარში დალია ჩაის ნაცვლად და მიწვა.

დილით დედამ წამოაყენა და აბრეშუმის ფაბრიკის იაფფასიან ამბულატორიაში მიიყვანა. ექიმმა ხითარიანმა შეიქცხადა: ორმოცგრაღუსამდე სიცხე აქვსო, რეცეპტი დაუწერა, ფული მიიჩაჩა და უთხრა, ეტლით წაიყვანე, ხვალ დილით კი მე თვითონ მოვალ და ვნახავო. დილით ხითარიანმა სხვა ექიმებიც მოიყვანა. დიდხანს სინჯეს და დაასკენეს, მუცლის ტიფიაო. აფთიაქში რომ გაიგეს შავლეს ავადმყოფობა, ყველა შეშფოთდა. წამლები მაშინვე გაუკეთეს და ნინომ და მედეამ მიურბენინეს, თან ძნელად საშოვნელი შაქარი და კაკაო მიუტანეს.

ბიჭმა დიდხანს იავადმყოფა. ამასობაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ პატარა ქალაქშიც დაარსდა შრომის ბირჟა, რომელმაც მალე შავლე რევკომის სტატისტიკური განყოფილების მხაზავად გაგზავნა და აფთიაქის ბიჭი რევკომის ბიჭი გახდა.



# პიონერული სხივრეკა ჩაუხუჯის წილი წყევას



დაირეკა სკოლის უკანასკნელი ზა-რიც. ზაფხულმა ფრთები გაშალა. თი-თოეულ თქვენგანს ქალაქგარეთ თუ ქა-ლაქის დაჩრდილულ პარკებში ელის პიონერთა ბანაკი, ტურისტული გზები და ბილიკები, მესუთე შრომითი მე-თხედის სვლაგეზები და ა. შ. ასე რომ, პიონერულ აქტივს (პირველ რიგ-ში ვგულისხმობთ რაზემულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებს), ზა-ფხულშიც როდი მოაკლდება საქმე.

ჩვენი კლუბის დღევანდელ შეკრება-ზე პიონერულ აქტივს ერთხელ კიდევ

მოვავიგებთ, რომ ბანაკი მეორე სკო-ლა და პიონერული მუშაობა აქ არ წყდება.

ბანაკში სხირად გვსმენია პიონერთა საყვედურები; აქ სამუშაოდ კი არა, და-სასვენებლად ჩამოვედითო. ზოგიერთი მათგანი ხანდახან არც კი ამხელს ხო-ლმე, თუ რა დავალება ჰქონდა თავის რაზემულში. ამბობს, კმარა, სკოლაში რასაც ვაკეთებთ. ასეთი მსჯელობა რა თქმა უნდა, სწორი არ არის. პიონერუ-ლი აქტივი სკოლაში თუ პიონერთა ბა-ნაკში უფროსი პიონერხელმძღვანელის

საიმედო დასაყრდენია. იგი ყოველთვის უნდა გამოირჩეოდეს საქმის ცოდნით, ორგანიზატორული ნიჭით, თანატო-ლებთან მეგობრობით, ნაკითხობით, სპორტისა და შრომის სიყვარულით. დიას, სწორედ ასეთ აქტივისტს ექე-ბენ ბანაკში პიონერების ჩამოსვლის პირველი დღიდანვე.

სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებს სხვადასხვა გამოცდილება ჩამოაქვთ. ბავშვები არ იცნობენ ერთმანეთს, ამი-ტომ სანამ ბანაკში პიონერული აქტი-ვის არჩევნები მოეწყობა, გაცნობის სა-

## საქართველოს დემოკრატიული პარტია

სიემა მსოფლიოს დე-მოკრატიული ახალგაზრ-დობის ფედერაციასთან არსებული საბავშვო და საყმაწვილო ორგანიზა-ციათა კომიტეტის სა-ხელწოდებაა. იგი 25 დე-მოკრატიულ ორგანიზა-ციას აერთიანებს. 1957 წელს კიევში გამართუ-ლმა დემოკრატიული ახა-ლგაზრდობის ფედერა-ციის IV კონგრესმა ერ-თხმად დაადგინა, რომ

შემდგომ, ხელმძღვანე-ლობა გაეწიოს საბავშვო და საყმაწვილო ორგანი-ზაციებსაც. 1958 წლის იანვარში შედგა საერთა-შორისო კონფერენცია, მასში მონაწილეობდნენ: ავსტრიის, ბულგარეთის, ფინეთის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, გდრ-ის, რუმინეთის, ჩე-ხოსლოვაკიისა და საბ-ჭოთა კავშირის საბავშ-ვო თუ საყმაწვილო ორ-

განიზაციები. აქ გამომუ-შავდა კონკრეტული წი-ნადადებები, შეიქმნა პროგრამა. 1958 წელს ბუდაპეშტში მსოფლიოს დემოკრატიული ახალ-გაზრდობის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტე-ტის სხდომაზე ოფიცია-ლურად დადგინდა სი-ემას შექმნა.

სიემა მსოფლიოს დე-მოკრატიული ახალგაზრ-დობის პრინციპების ერ-თგულია, იბრძვის ბავშ-ვების ცხოვრების დო-ნის, განათლების საქმის გასაუმჯობესებლად, აღ-ვივებს მათში მეგობრო-ბისა და ინტერნაციონა-ლიზმის გრძნობას. იგი სი-სტემატიზაციას უკეთებს და აზოგადებს ბავშვთა შორის მუშაობის ფორ-

მებს, გამოდის საერთა-შორისო აქციებისა და კომპანიების ინიციატო-რად. პროგრესულ ორ-განიზაციებთან ერთად იბრძვის ბავშვთა უუფ-ლებობის წინააღმდეგ მიღებულ დეკლარაციის განსახორციელებლად, რაც გაერთიანებული ერების ასამბლეამ მი-იღო (1959 წლის 20 ნო-ემბერი). სიემა ბავშვ-თა და მშობელთა შორის ეწევა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილე-ბის მიღწევათა პოპულა-რიზაციას. სიემამ თავის დროზე განახორციელა დიდი ღონისძიებანი ვი-ეტნამის, ინდოჩინეთის, არაბული და სხვა ქვეყ-ნების ბავშვთა დასაცა-ვად. სიემას მოწოდებთ



დამო უნდა გაიმართოს; ამ დროს პიონერები თავიანთ თანატოლებს უამბობენ, რომელი რაიონიდან, ქალაქიდან, სოფლიდან ჩამოვიდნენ, რა დავალება ჰქონდათ რაზმეულში, ჩამოთვლიან თავიანთი სკოლის, რაზმეულის საუკეთესო ტრადიციებს, დიდი ოქტომბრის ნიწლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით მიღწეულ წარმატებებს, თანატოლებს გააცნობენ თავიანთი სოფლის, ქალაქის მოწინავე ადამიანებს. ამავე დროს თითოეული მათგანი ამბობს, თუ რისი გაკეთება სურს ბანაკში, რა უფრო იტაცებს, სპორტი თუ ნატურალისტური მუშაობა, ცეკვავს, მღერის, ხატავს, თუ წერს...

ბანაკში გაცნობის საღამოზე თავისთავად მოიხაზება მომავალი პერსპექტიული სამუშაო გეგმა, რომელიც შემდეგ ბანაკის რაზმეულის საბჭოს მუშაობას გააადვილებს.

დაიხს, პიონერული ცხოვრება ზაფხულში როდი წყდება, ბანაკში გატარებული დღეები შემდეგ თითოეულს კარგი გამოცდილებით აბრუნებს სკოლაში.

როგორ უნდა მოხდეს სკოლის რაზმეულში მიღებული ცოდნა-ჩვევების, თითოეულის მიდრეკილებების, ინტერესების ერთმანეთთან შერწყმა ბანაკში? რა არის ამისათვის საჭირო? რა არის მთავარი?

მოდით, ვიფიქროთ, მართლაცდა, რა არის მთავარი პიონერთა ბანაკში? — დასვენება! — იტყვიან თქვენ.

რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ განა ეს ყველაფერია? მაშინ ბანაკი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა დასასვენებელი სახლი იქნება.

არა, პიონერთა ბანაკში ბავშვებმა პიონერული კოლექტივის წესებით უნდა იცხოვრონ.

მერედა, როგორია ეს წესი?

პირველი — ეს არის დამოუკიდებლობა, თვითონ თქვენვე უნდა იყოთ თქვენივე ცხოვრების წარმმართველნი.

მეორე — კოლექტიურობა! — ეს კი მაშინ იქნება, როცა ყველას საერთო ინტერესი გექნებათ.

მესამე — ინიციატივა! — ეს მაშინ, როცა ბავშვები უფროსის ძალდატანებით კი არ საქმიანობენ, არამედ საკუთარი სურვილით.

თითოეული პიონერთა ბანაკის ცხოვრება დაკავშირებულია იმ გარემოსთან, იმ ამბებთან, საქმიანობასთან, რომელიც მის ირგვლივ არის გაჩაღებული... აქ იციან, რითი ცხოვრობს იმ პერიოდში მთელი ქვეყანა, რას აკეთებენ იმ დროს მათ მახლობლად კოლმეურნეები თუ ტყისმცველები, მეთევზეები...

გახსოვდეთ, ბანაკში თქვენ დასვენებასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობთ უფროსების შრომით საქმიანობაში.

ბანაკი სკოლაა! — რას არ გასწავლით. განსაკუთრებით ქალაქელ პიონერებს — გზებისა და ბილიკების გაკვლევას უდრან ტყეებში, ლამაზ ყვავილთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელებს და ა. შ.



პიონერთა აპტივის კლუბი

რაც ზემოთ ჩამოგივალეთ, ყველაფერი მთავარია ბანაკში. მთელი მუშაობის მიმართულება კი დიდი ოქტომბრის ნიწლისთავისათვის მზადებაა, გეზის მიმცემი პიონერთა საკავშირო მარშის მარშრუტებია, რომლის დევიზია „ოქტომბრის გზით, ლენინის გზით“, და ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა საკავშირო და საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოები თითოეული პიონერის წინაშე წლეულს საზაფხულო დავალებების მიცემის დროს განსაზღვრავენ.

ბანაკში წასვლის წინ ერთხელ კიდევ გადაავლეთ თვალი შენს უბის წიგნაკს, ყველაფერი ჩაინიშნე, რის გაკეთებასაც ბანაკში აპირებ.

პიონერთა ბანაკი წრთობის სკოლაა. ყველა, ვინც კი აქ დაისვენებს, ბანაკიდან უნდა წავიდეს ჯანსაღი, კუნთმაგარი, მამაცი, უამისოდ აბა რის ბანაკია!

ნათელა ფაილოძე.

ბავშვთა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა დიდი თანხები შეკრიბეს კუბელი, ალჟირელი, ვიეტნამელი ბავშვების დასახმარებლად. ფრანგმა პიონერებმა, მაგალითად, საჩუქრებით დატვირთული გემი გაუგზავნეს ვიეტნამელ თანატოლებს; ბულგარელმა პიონერებმა ხო ში მინის სახელობის პიონერულ ორგანიზაციას ავტობუსი აჩუქეს; უნგრელი პიონერებმა კავშირმა — ათასობით ტრანზისტორი და სხვა. სიემას უშვებს სპეციალურ მარკებსა და სამკერდე ნიშნებს. (მოგეპულები ფული, მაგალითად, მეზობლი ვიეტნამის ფონდში გადაირიცხა).

სიემას მეთვალყურე-

ობით სისტემატურად იმართება კონფერენციები: „ლენინი და ბავშვები“ (1970 წელი. არტეკი), „მეგობრობის ლატარია“ (გღრ, სსრკ, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი), მძლეოსნური შეჯიბრებები ოთხჭიდასა და ხუთჭიდაში, სადაც მილიონობით ბავშვი მონაწილეობს, ეწყობა ათასნაირი კონკურსი საუკეთესო საბავშვო მოთხრობებზე, დევიზით — „ჩემი მომავალი პროფესია“, ნახატებზე, დევიზით — „მე ვხედავ ქვეყანას“, „ჩემი სამშობლო ჩემი სახლია!“ ფოტოსურათებზე, კოორდინაციას უწევს წიგნების გამორკვევას, საუკეთესო საბავშვო ფილმე-

ბის გარჩევას. ბავშვთა დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი პიონერხელმძღვანელებისათვის, საბავშვო მწერლებისათვის, ჟურნალისტებისათვის სიემას მართავს სემინარებს, თავყრილობებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. სიემას უმადლესი ორგანოა ასამბლეა. სიემას მესამე ასამბლეა, მაგალითად, გაიმართა 1970 წელს ბულაპემტში დევიზით — „ბედნიერი ბავშვობისათვის“. ასამბლეა იწვევს მუდმივმოქმედ პრეზიდიუმს. მის შემადგენლობაში ცხრა კაცია. მათში შედიან: საფრანგეთის, სსრკ-ის, აუდანის, უნგრეთის, კვი-


პროსის, კუბის, ფინეთის, მონღოლეთის, პოლონეთის წარმომადგენლები. სიემას პრეზიდიუმში ირჩევენ ერთ პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს. სიემას ადგილსამყოფელი ბულაპემტშია. სიემას აქვს თავისი ჰიმნი — (მიკის ტეოლორაკისის მუსიკა, რუსული ტექსტი კრიუჩკოვსკიანა). სიემას დამყარებული აქვს კავშირი ყველა საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციასთან: მსოფლიოს ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, მასწავლებელთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციასთან, მსოფლიო მშვიდობის საბჭოსთან და ა. შ.

# ქონეუნი

## «თავთაანი 60 წინა პლანში»



ამიონდუთის  
პანკოთი.  
აბაპა  
შახაბი.  
ხულის ჩაონი,  
დიდი აპარის  
საშუალო  
სკოლა,  
VI კლასი.



შახაბიდა.  
ჯაბალ  
აბაპაბაბა.  
ქ. მათორი,  
ხელაჩაურის  
ჩაიონი,  
სოფ. გარანულის  
საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

აჩილ  
აგაბიდაშვილი.  
თბილისის მე-14  
საშუალო სკოლა,  
X კლასი.

თინიო შანთიპი, ხულის ჩაონის  
საშუალო სკოლა, X კლასი.

ამოლუთისი ვაბაჩანი შახაბიბაი

სოფლის  
გაზა.



ნიხლი ტყავადა, თავს მევლებოდა,  
დილის წრფელ ლოცვას  
ასრულებდენ  
მწვანე ფოთლები.  
ბულბული სტეენა და ცყარულ  
ვარღში  
იხ ოცნებით, —

თავდაცეწებით რომ ეყვარება  
ეს ცა, ეს შობი,  
ჩენი მამული  
და გაზაბუღა...  
ნიხლი ტყავადა, თავს მევლებოდა,  
დილის წრფელ ლოცვას  
ასრულებდენ  
მწვანე ფოთლები.



### შეპილია...

ბუნება გადფიქრული,  
ყვადფიქრული ბაღი,  
ძირს — მოხრიალე ჩანჩქერი,  
მაღლა — ცის ღურჯა თაღი,

გაცოცხლებული ველგები,  
ცად ატორაქილი შიგები,  
ამწვანებული ვირები  
და ბობოქარი ხლებები,

აღლფიქრული მინდვრები  
და ჯარი ყვადილების.  
ბუნებში მამუის ჭახტახი,  
კუნტრუში ნახი შვლები, —

ტკბილია, როგორც სიციხესე,  
როგორც მზე სხივამფენი;  
ტკბილია, როგორც მწვინობა,  
როგორც სამშობლო ჩენი.

თბა კოახიამ,  
ქ. რუსთავის მე-18 საშუალო  
სკოლა, VIII კლასი.

### შეპყარი

მიდის და ზნადაგზა იგრანგება  
მღელვარე, მფითიანი, მოღღუნე,  
ხანდახან ნაირსაც შეაკლდება  
ფიცხელი ცხენითი მოფრტუნე;  
ბორბლა, მუცეს და გალუნე დგები  
თამბაქო მწირიღე, ურჩი,  
ტალღები ლღღებზე ევანტება,  
მერე კვლავ იხლები გულები;  
გაგრეულადა, უსაშველოდ გაიწვლა  
გზა უტყვი, უთავილო  
მიდის და თვითნვე ავიწყდება —  
ხდამე რომ ჩაინთქება ბოლის.

შნა მაღაპი,  
ახონის ჩაონის ოპირის  
საშუალო სკოლა, VIII კლასი.



აბაბაჩი ხაშალა, თორიანი ჩაინინა,  
ქ. ზუგდიდი, სოფ. რუხი, VI კლასი.

რსთო ანეწარაშვილი,  
ქუთაისის მე-18 სკოლა, V კლასი



ქ. შარსის ხის. ს. ს. ს. ს.



# ვიტამინები ვიტამინები ვიტამინები ვიტამინები ვიტამინები

A ვიტამინს ზრდის ვიტამინსაც უწოდებენ, იგი ხელს უწყობს სიმალღეში მომატებას, აუმჯობესებს კანის, ნაწლავებისა და ბრონქების საფარველის მდგომარეობას, კარგად მოქმედებს მხედველობაზე.

A ვიტამინით მდიდარია თევზის ქონი, მას შეიცავს აგრეთვე კვერცხი, კარაქი და სხვა პროდუქტები.

A ვიტამინი ბუნებაში გვხვდება პროვიტამინის (ვიტამინის წინა საფეხური) სახითაც. პროვიტამინს კაროტინი ჰქვია, რომლითაც მდიდარია ციტრუსები, სტაფილო და სხვა პროდუქტები.

კაროტინი ორგანიზმში მოხვედრისას ღვიძლში გადაიქცევა და A ვიტამინად გარდაიქმნება. პატარებს ალბათ შეუძნევიან, ზოგჯერ ხელისა და თვისხელების გაყვითლება მანდარინის დიდი რაოდენობით მიღების შემდეგ. ეს იმიტომ, რომ ღვიძლმა ვერ მოასწრო კაროტინის ვიტამინად გარდაქმნა, მოჭარბებული კაროტინი კი სისხლ-

ცში, ქერი, ოხრახუმი, სალათა და სხვა.

წყალში ხსნადი ვიტამინების რიცხვი დიდია, მათ შორის კი B ჯგუფის ვიტამინების რიცხვი, რომელთაც ეკუთვნის თიამინი ანუ B<sub>1</sub> ვიტამინი, იგი აწყნარებს ნერვულ სისტემას, ამ ვიტამინით მდიდარია წიწიბურა, B<sub>2</sub> ვიტამინი ანუ რიბოფლავინი ხელს უწყობს სუნთქვას. მას შეიცავს ღვიძლი, მუხუდო. B<sub>3</sub> ვიტამინით ანუ პანტოტენის მჟავით მდიდარია თხილი, კვერცხის გული. მისი ნაკლებობა იწვევს თმის ნაადრევ გაჭალარავებას, ფეხების დაბუყებასა და წვას. B<sub>4</sub> ვიტამინი ხელს უწყობს ჰემოგლობინის გამომუშავებას. მისი უქმარობის დროს სისხლნაკლებობა ვითარდება.

B<sub>5</sub> ვიტამინი ანუ ნიკოტინის მჟავა (არა თამბაქოს ნიკოტინი) დიდი რაოდენობით არის არაქისში, ხორცში, რძეში, წიწყაში. მისი ნაკლებობის დროს ვითარდება დაავადება პელაგრა, — კანის ხაოიანობა, ორგანიზმი კი განიცდის სისხლნაკლებობას.

B<sub>6</sub> ვიტამინი ანუ პირიდოქსინი ხელს უწყობს ცილის შეთვისებასა და გადაქცევას, კარგად მოქმედებს მოწამვლის დროს. მას დიდი რაოდენობით შეიცავს ღვიძლი, სიმინდი. B<sub>8</sub> ვიტამინი ანუ ინოზიტი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ზრდის ორგანიზმის შრომისუნარიანობას, ამცირებს დაღლას. მას დიდი რაოდენობით შეიცავს ფორთოხალი, მუხუდო, ქლიავი.

B<sub>9</sub> ანუ ფოთლის მჟავა, პირველად გამოიკვინა ისპანახიდან და ამიტომ დაერქვა ფოთლის მჟავა, იგი აქტივებს სისხლის წარმოქმნის ორგანოების მუშაობას. B<sub>9</sub> ვიტამინით მდიდარია ისპანახი, ნესვი, ლობიო.

პარაამინობენზოის მჟავაც ამ ჯგუფის ვიტამინებს განეკუთვნება, იგი ორგანიზმს იცავს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან, ამიტომაც მისი შემცველი პროდუქტები დიდი მოწონებით სარგებლობს მთამსვლელებში. პარაამინობენზოის მჟავას დიდი რაოდენობით შეიცავს ახალი საფუარი, ბრინჯის ქატო. B<sub>12</sub> ვიტამინი არის სისხლის ნაკლოვანებისას კარგი სამკურნალო საშუალება; მას დიდი რაოდენობით შეიცავს თირკმელი, ღვიძლი, განსაკუთრებით ღვიძლის წვენი, არის ხახვშიც. ოროტის მჟავაც B ჯგუფის ვიტამინების რიცხვშია.

ვიტამინი უცხო სიტყვაა და ქართულად სიცოცხლისათვის აუცილებელ ნივთიერებას ნიშნავს. ვიტამინებს დიდი რაოდენობით შეიცავს ბოსტნეული, მწვანილი, ხილი, ხორცი, თევზი და სხვა პროდუქტები.

ვიტამინი საკვებთან ერთად კუჭ-ნაწლავში გადაიქცევა და შეიწოვება, მთელ ორგანიზმში განაწილდება და 300-მდე სასიცოცხლო პროცესში მონაწილეობს.

ახალი უჯრედების წარმოშობით სხეული იზრდება, სიმალღესა და წონაში მატულობს, ეს კი მოითხოვს ვიტამინების სათანადო რაოდენობით მუდმივ მიღებას.

ღღისათვის 30-ზე მეტი ვიტამინია ცნობილი.

ვიტამინები ორ ჯგუფად არის დაყოფილი — წყალში და ცხიმში ხსნად ვიტამინებად.

ცხიმში ხსნადი ვიტამინებისაგან ბავშვებისათვის ყველაზე აუცილებელია A და D ვიტამინები.

ში გადავიდა, რამაც კანის გაყვითლება გამოიწვია. ამიტომ კაროტინის შემცველი საკვების გადაჭარბებით მიღება არ არის სასურველი.

D ვიტამინი ძვლის ზრდის ხელშემწყობია. ისიც ბუნებაში არსებობს D ვიტამინისა და პროვიტამინის სახით, მას შეიცავს თევზის ქონი, კვერცხი, ღვიძლი... პროვიტამინი თქვენს კანშია და მზის ულტრა-სხივების ზემოქმედებით გადადის D ვიტამინში. მისი ნაკლებობა ჩვილ ბავშვებში იწვევს რაქიტს — ძვლების დაავადებას, გამრუდებას.

ცხიმში ხსნად ვიტამინებს ეკუთვნის, აგრეთვე, G და E ვიტამინები.

G ვიტამინი ხელს უწყობს თმის ნორმალურ კვებას, იცავს მას დაცვენისაგან. ამ ვიტამინით მდიდარია თხილი, კაკალი.

E ვიტამინი იხმარება გულის დაავადების დროს, მას შეიცავს კვერ-

ჩვენეთ-ინგუშეთის კოეტიების ლექსები

ზანიდინ მეთალიზოვი

მოკლეობა

თუ კი  
შენს ღვიძლ ძმას დაეხმარე ოდესმე, სადმე,  
თუნდ შენი მკერდით ააცილე ტყვიან მცელავი,  
ძმის დახმარებას ნუ დაარქმევ საგმირო საქმეს,  
ვერ გააკვირვებ ამით ვერავის.

თუ კი  
შენს ღვიძლ დას დაეხმარე ოდესმე, სადმე,  
არ დაიშურე მისთვის შრომა, ძალა და ღონე,  
ღის დახმარებას ნუ დაარქმევ საგმირო საქმეს,  
ვერ გაგვაკვირვებ — თავის ქებას ნუ გაგვაგონებ.

თუ კი  
შენ წრფელი სიყვარულით შენი მშობელი  
ღედ-მამა გიყვარს, გიყვარს შენი კერია თბილი,  
ნუ იამაყებ — ოდითგანვე არის ცნობილი,  
რომ მშობლის წმინდა სიყვარული ვალია შვილის.

თუ კი  
სამშობლოს ჩამოაწვა ღრუბელი ომის,  
ბრძოლაში წადი — ამას შენი გავალებს ვალი,  
ნუ დაიშურებ თვით სიცოცხლეს, ვითარცა ღომი  
მომხვედურს შეები, დაუკეტე მამულის კარი.

თუ კი  
სამშობლოს სიყვარულის დროშას არ დახრი,  
ბრძოლაში საქმით დაუმტკიცებ მამულს შვილობას,  
მაგ შენი წმინდა ვალის მოხდას თვით შენი ხალხი,  
მშობელი ხალხი აღიარებს უკვდავ გმირობად.

სანიდ ჩხეიძე

კურჩხედი  
კოკონა

ბრძოლა გადაჰქუხს გერმანული ქალაქის ქუჩებს,  
ტყვიის ღვართქათმა იმძლავრა რარიგ...  
მოედნის შუა დაღანდეს უცებ  
გვარდიელებმა პატარა გოგო.

გერმანელების ტყვიამფრქვევი კაკანებს ცხარედ,  
ჭურვების ცეცხლმა ლურჯი ბროლი დაუდალა ცას.  
გოგონა იგი მოკლულ დედას დასტირის მწარედ  
და გერმანულად ყვირის რაღაცას.

„ლეიტენანტო, ბავშვი ვიხსნა, მომეცი თნება“, —  
ერთმა მეზობელმა თქვა, გოგოსთან ცოცვით მივიდა.  
წამი წამს მისდევს. გვარდიელი უკან ბრუნდება  
ხელში ბავშვით და გულში ტყვიითა.

„დე, ბავშვებს თვალი სისხლის ცრემლმა არ დაუნამოს“,  
უღონო ხელით გოგოს ცრემლი მოსწმინდა ფრთხილად.  
... იმ დღეს გროზნოში დარჩა უმამოდ  
გოგო, იმ ქერათმიანის კბილა.

თარგმან თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

მინია, პირველად გამოჰყვეს რძის  
შრატისაგან და ამიტომ უწოდეს  
ოროტის მუჟა, რაც შრატსა ნიშ-  
ნავს. კარგად მოქმედებს ღვიძლზე,  
იწვევს წონაში სწრაფ მატებას.

P ვიტამინი ანუ ციტრინი ამაგ-  
რებს სისხლის ძარღვებს, უნარჩუ-  
ნებს მათ ელასტიკურობას, მისი  
უქმარისობისას კანში ვითარდება  
პატარა-პატარა სისხლის ჩაქცევები:  
ამ ვიტამინით მდიდარია ლიმონი.

U ვიტამინით მდიდარია კომბოს-  
ტო, — იგი კარგია კუჭ-ნაწლავთა  
ქრონიკული ანუ გახანგრძლივებუ-  
ლი დაავადებისას, თვით კუჭის  
წყლულის დროსაც კი. ეს ვიტამინი  
გვხვდება კომბოსტოს წვეწოში.

C ვიტამინი ანუ ასკორბინის მუჟ-  
ვა ყველასათვის ცნობილია. მას დი-  
დი რაოდენობით შეიცავს ხილი,  
ბოსტნეული, განსაკუთრებით ასკი-  
ლი, ხენდრო და სხვა ახალი ხილი.

ამ ვიტამინის რაოდენობა მცირ-  
დება გამხმარ ბოსტნეულსა და ხი-  
ლში, რადგანაც ადვილად იშლება  
მზის სხივების გავლენით. იგი „სტუ-  
მართმოყვარეთა“ რიცხვს ეკუთვნის,  
— ყველა ვიტამინთან ერთად მონა-  
წილეობს ორგანიზმის სასიცოცხ-  
ლო პროცესებში. ყველა ვიტამინი-  
სათვის ქმნის „შრომისა და თავდაც-  
ვისათვის“ ხელსაყრელ პირობებს.

საერთოდ, ვიტამინებს „მეგობ-  
რობის“ საოცარი უნარი აქვთ. თუ  
ორგანიზმს მოაკლდა რომელიმე  
ვიტამინი, მაშინ მეორე, მასთან ახ-  
ლომდგომი თავისთავზე იღებს მისი  
„ამხანაგის“ მოვალეობას და საქმე-  
ში შეეშველება. მაგრამ, რასაკვირ-  
ველია, განსახვრულ ხანს, შემდეგ  
კი მასაც შეეღა სჭირდება.

ბიჭებო და გოგონებო, ვიტამი-  
ნებს თქვენ იღებთ საკვებთან ერ-  
თად. უკეთესია, თუ ერთდროულად  
რამდენსამე ვიტამინს მიიღებთ. ორ-  
განიზმს წლის განმავლობაში მუდ-  
მივად სჭირდება ყველანაირი ვიტა-  
მინი, ახალი ბოსტნეული და ხილი  
კი სეზონურია. აფთიაქში ქიმიუ-  
რად გამომუშავებული ყველა სახის  
ვიტამინი იყიდება. ეს ვიტამინები  
მშვენივრად გასწევენ ბუნებრივი  
ვიტამინების მაგივრობას. მათი მი-  
ღება უზრუნველყოფს თქვენს ჯან-  
მრთელობასა და სიმაგრეს.

თ. გარსევანიშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტო-  
რი, პედიატრიის ინსტიტუტის დი-  
რექტორის მოადგილე სამეცნიერო  
დარგში.



# ეროვნული პარკების ქსელოლოგია საქართველოში

1971 წელს დაიწყო ასევე — დანია-ფინეთ-ნორვეგია-შვედციის ერთიანი ეროვნული პარკის — ევრე-ანარიოკას (6 385 ჰა ფართობით) შექმნის საკითხი: აფრიკის სამ სახელმწიფოს — დაგოვის, ზემო ვოლტას, ნიგერს მოიცავს დაცული ტერიტორიის უშველელბელი კომპლექსი (26,7 ათასი კვ. კმ). ეროვნული პარკები იქმნება წყალქვეშაც, მაგალითად, ჯერ კიდევ 1935 წელს აშშ-ში 250 ჰა ფართობზე შეიქმნა პირველი წყალქვეშა ძეგლი „ფორტ ჯეფერსონი“. ავსტრალიაში დაცულია წყალქვეშა პარკი ტრინ-აილენდი მარჯნის ბრაგებით. 1959 წელს შეიქმნა პარკი ექსკუმაკისი ბაგამის კუნძულებზე, 1961 წელს ჩამოაყალიბეს ბაკ-აილენდის ეროვნული პარკი (340 ჰა) ვირჯინიის კუნძულებზე (კარიბის ზღვა). იტალიაშიც არის განზრახული წყალქვეშა პარკის კერძოდ ორგანიზაცია ტარანტოს ყურეში და ეტნაზე.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ესტონეთში, ერთ-ერთი პირველად დაარსებული (1971 წ., ფართობი 64,4 ათასი ჰა) ეროვნული პარკის ლახემასის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბუნების შენარჩუნების მიზნით ყვე-

დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 4-ში.

ლაზე გონივრულია პარკის ზონებად დაყოფა. ერთ-ერთი ზონა იქნება რეზერვატი, სადაც ადამიანის საქმიანობა ნივთიერების აკრძალვითაა შეზღუდული. ესტონეთში პარკების შექმნის მიზანმიმართული დაიჭერს პარკის ტერიტორიის 10 პროცენტს. კიდევ 10 პროცენტი დაკავებულია სახნავი მიწებით, დასახლებული პუნქტებითა და გზებით. 70 პროცენტი მოდის ზონაზე, სადაც დაშვებულია ადამიანის საქმიანობა ტყის მოვლის მიზნით, მაგრამ აკრძალულია მელიორაცია, წყალსაცავების რეგულირება, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება და ა. შ. რასაც, ჩვეულებრივ, მოჰყვება ხოლმე დიდი ეკოლოგიური ცვლილებები. დანარჩენ 10 პროცენტს დაიჭერს დასვენების ზონა, რომელიც გამოიყენება ბუნების დაცვის პროპაგანდისტული და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ეროვნული პარკების შექმნის უმთავრესი და უპირველესი მიზანია სწორედ ბუნების დაცვის სფეროში პროპაგანდისტული და აღმზრდელი მუშაობის წარმოება. ეს კი გულისხმობს არა მარტო დასვენებას, არამედ დაცული ზონის ბუნებრივ თავისებურებათა გაცნობას ადამიანებისათვის. აღნიშნულ, ე. წ. „მწვანე უნივერსიტეტებს“ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის, მოზარდი თაობებისათვის. აუცილებელია ასევე ითქვას, რომ პარკების შექმნა ემსახურება არა მარტო ბუნებრივ სიმდიდრეთა და ლანდშაფტთა, არამედ ისტორიული, კულტურული და არქიტექტურული ძეგლების დაცვასაც, რომელთაც აქვთ ეთნოგრაფიული და არქიტექტურულ-ისტორიული ღირებულება.

ჩვენს ქვეყანაში განზრახულია შეიქმნას ეროვნული პარკების მთელი ქსელი, სახელდობრ, 1971 წელს მიღებულია დადგენილება ურალისა და ციმბირის ზოგიერთ ადგილებში ეროვნული პარკების მოწყობის თაობაზე.

უკანასკნელ დროს ეროვნული პარკებისადმი ინტერესი დიდად გაიზარდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება — „ქალაქების — თბილისისა და რუსთავის მწვანე ზოლის გაფართოების თაობაზე გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია თბილისის მიდამოებში საგურამოს ნაქრძალის ბაზაზე ეროვნული პარკის შექმნის აუცილებლობის შესახებაც.

საქართველოს პირობებში დიდი ხანია მომწიფდა რამდენიმე ეროვნული პარკის შექმნის აუცილებლობა. ამ აუცილებლობას გვიკარნახებს არც თუ ისე იშვიათად ტყის ხანძრები, რომელთა მიზეზი უმეტესად არაორგანიზებული და უკონტროლო ტურიზმია. ამ აუცილებლობაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ ერთხელ მაინც ვნახავთ თბილისის შემოგარენის გაბინძურებულ ტყეებს, დამშრალ წყაროებს. ასეთივე საშიშროება ემუქრებათ ახლო მომავალში ტურისტების მხრიდან ხევსურეთსა და მთათუშეთს, ხევსა და სვანეთს!

ეროვნული პარკის თავისებურებათა გათვალისწინებით, საქართველოში მათი ორგანიზაცია ყველაზე მიზანშეწონილად მიჩნეულია ბორჯომ-ბაკურიანში, რიწის ტბის მიდამოებსა და მთათუშეთში.

მცირე კავკასიონის — აჭარა-იმერეთის ქედის ორი სიმალიდან — ლომისმთიდან და ცხრაწყაროს უღელტეხილიდან (2 500 მ, ყველაზე მაღალი საავტომობილო უღელტეხილი საქართველოში) მოწმენდილ ამინდში ხელისგულივით იშლება ბორჯომის რაიონის დაუვიწყარი



მწვანე ტბა.

აჭარა,  
გოლმარძის  
უღელტეხილის  
მიდამოვები



საქართველო  
საქართველო

ხედები. შეუდარებელია აქაური აისი და დაისი, ამომავალი და ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული დიდი კავკასიონის ქათათა მწვერვალები, იისფერ ჰორიზონტში ჩაძირული ჭავახეთის მთაგრეხილი, ღამით ელექტრონით გაჩახჩახებული ბორჯომი, წალვერი და ბაკურიანი, ვარსკვლავებით მოჭედული აქაური ცის კაბადონი.

რაიონის ხელუხლებელი ლანდშაფტების უმეტესი ნაწილი მოქცეულია ბორჯომის ნაკრძალში, რომელსაც 18 082 ჰა ფართობი უჭირავს. ნაკრძალის ბუნება ხელუხლებელი დარჩება მომავალშიც. აქ ადამიანები ფხიზლად დარაჯობენ და უვლიან ფაუნის ისეთ ძვირფას წარმომადგენლებს, როგორც არის ირემი, შველი, გარეული ღორი, დათვი, ფოცხვერი, კვერნა, გარეული კატა, მაჩვი და სხვა. მათ შორის კავკასიური ირემი ნაკრძალის ყველაზე დიდი სიმდიდრეა, მისი სიამაყეა მტკვარი, სხვა მდინარეები, ტბები მდიდარია იქთიოფაუნით, ხოლო ნაკადულებსა და წყაროებში ვხვდებით ისეთ იშვიათობას, როგორც არის კავკასიური სალამანდრა.

მაინც სად შეიძლება მოეწყოს ბორჯომ-ბაკურიანის ეროვნული პარკი, რა ტერიტორია დასჭირდება მას? ვფიქრობთ, რომ ნაკრძალის გარდა ბორჯომიდან ცხრაწყაროს ჩათვლით მის ტერიტორიაში შევა სოფლის მეურნეობაში დაუკავებელი ან ნაკლებად დაკავებული ფართობები. ამასთან ეროვნული პარკის ცენტრი დაემთხვევა ბორჯომისა და ბაკურიანის საკურორტო ცენტრებს.

ბორჯომის რაიონი მოხერხებული გზებით უკავშირდება თბილისს, ბათუმსა და სხვა ქალაქებს, რაც კიდევ უფრო მისაწვდომს ხდის მომავალ ეროვნულ პარკს.

მთათუშეთი: მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული გორიანი და დიდებული მთებით, ურიცხვი

ნაკადულებით და ჩანჩქერებით, ალპური ხალიჩებით, ენდემური მცენარეებითა და ცხოველებით არის წარმოდგენილი დიდი კავკასიონის ეს ცენტრალური ნაწილი. სილამაზითა და მიმზიდველობით აქაურ მთებს კავკასიაში ბევრი ადგილი ვერ დაუდებს ტოლს. ზღვის დონიდან მთათუშეთის საშუალო სიმაღლე ორი ათასი მეტრი და კიდევ მეტია.

მეზობელ დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და აქაური მთების მიუვალობა განაპირობებს აქ ჭიხვის, მსოფლიო ფაუნის ამ იშვიათი ბინადრის, შედარებით სიმრავლეს. მთელ საქართველოში თითქმის მხოლოდ აქ ვხვდებით გარეული თხისნაირების ისეთ უნიკალურ წარმომადგენელს, როგორც არის ნიამორი.


თეთრი ყვავილების გუნდებით გადაპენტილ დეკანებში მომრავლებულან როჭოები, მიუვალ ქარაფებსა და კლდენაშალებში ჩაბუდებულან ფრთხილი შურთხები.

მცენარეული საფარიდან ასეთი სიმაღლეებისათვის ყურადღებას იპყრობს კაუჭა ფიჭვის შესანიშნავი ტყეები, თეთრტანიანი სუბალპური არყნარი.

გომეწრის, განსაკუთრებით კი პირიქითა ალაზნის პირქუშ პეიზაჟებში ყვითლად და ცისფრად მოლანე ბაიებისა და ცისანების ფონზე არნახულად იწერება თუშთა სოფლები — ციხესიმაგრეები. შენაქოსა და დართლოს ეკლესიები ცით მოვლენილი თეთრი მზეთუნახავების ასოციაციებს ქმნიან. თითქმის დაცარიელდა ერთ დროს სიცოცხლის მძლავრი პულსით მფეთქავი საქართველოს ეს მთიანი კუთხე, მაგრამ აქა-იქ დღესაც შეხვდებით ცალკეულ ვაშლის ხეებს, საოცარ ყინვაგამძლე ჭიშებს, ჭერ კიდევ შემორჩა ქერის ნაყანევები; თუშეთმა მსოფლიო მეცხოველეობას მისცა შესანიშნავი ჭიშები — თუშური ცხვარი, თუშური ცხენი.

მთიელთა ამაყი ციხე-კოშკებით შემკობილი, მთის გორიანი ბუნებით წარმოდგენილი ეროვნული პარკი ალბათ მთელ კავკასიაში ვერსად ისე ვერ ასახავს თავის თავს, როგორც მთათუშეთში.

ეროვნული პარკის საზღვრებში მოექცევა მთათუშეთის ალაზნების სამივე ხეობა; ასევე დიდი კავკასიონის მთათუშეთთან მოსაზღვრე სამხრეთი კალთები თელავის მიმართულებით: ეს არის წიფლით, მუხითა და წაბლით დაფარული ტყის გაუვალი ტევრები; მთათუშეთის ეროვნული პარკის შექმნა ბრაკონიერთა ხელყოფისაგანაც დაიცავს ბაწარას ნაკრძალს მსოფლიოში ერთადერთი უთხოვარის უნიკალური კორომით.



თუშეთი. სოფელი შანაპო.

თავისი განუმეორებელი ბუნებრივი პირობებით სა-  
ოცრად დიდი პერსპექტივა აქვს რიწის ტბასა და მის  
შემოგარენს, სვლაგეზით: მდინარე ბზიფის ხეობა — რი-  
წის ტბა—ავადპარა—მზიას ტბა, ერთმანეთს ცვლიან ერთ  
აუწერელი ლანდშაფტები. მთის ფერდობები დაფარუ-  
ლია ას, ორას, სამას და მეტწლიანი ნაძვნარებით, წიფლ-  
ნარებით, სოჭნარებით. ქვეტყეს ამშვენებს კოლხური  
ბზა და სხვა მარადმწვანე სუბტროპიკული ელემენტე-  
ბი. ავადპარაზე თვალს იტაცებს პარკის ტიპის მაღალ-  
მთის ნეკერჩხლები, სუბალპებსა და ალპებში — მიწაზე  
გართხმული ღვია და დეკა. თოვლიდან ნაუური წყლით  
ნაკვები ნაკადულები და ჩანჩქერები თუ არღვევენ პირ-  
ველყოფილ ბუნების აქაურ იდუმალებას. გაგრის ქედის  
ამ მონაკვეთის მთავარი ღირსება მაინც მალაქიტისფე-  
რი მთების ბუდეში ჩასმული ზურმუხტის თვლები  
— რიწის, მზიასა და ალპური ზონის სხვა ტბებია.

ბუნების ამ იშვიათობათა ერთი ნაწილი დღეს ნაკრ-  
ძალად არის გამოცხადებული.

ერთი მხრივ, ეს დიდი აღიარება ადგილობრივი ბუ-  
ნებისა, მაგრამ, მეორე მხრივ, დამთვალეიერებელთა  
მოზღვავება თავისებური რელიეფის მქონე რიწის  
ტბის მიდამოებში საშიშროებას უქმნის იქაურობას. რე-  
ლიეფის თავისებურება მდგომარეობს ციცაბო ფერ-  
დობებში და მოვაკებული ტერიტორიის უქონლობაში.  
ამიტომ ტბის მიდამოების — ფაქტიურად ნაკრძალის  
ტურისტთა უსაზღვრო ნაკადებით არასწორად დატვირ-  
თვას შეუძლია გამოიწვიოს ბუნების დეგრადაციის შე-  
უქცევადი პროცესი: ტბის გაჭუჭყიანება, ტყის გაჩეხვა,  
ფერდობების ჩამორცხვა. მისი საბოლოო შედეგი კი  
შესაძლოა ფრიალ სავალალო აღმოჩნდეს — დაიკარგოს  
ბუნების ისეთი უნიკუმი, როგორც არის რიწის ტბა.  
ბზიფის ხეობიდან—თითქმის შუაზღვისპირეთიდან, ვიდ-  
რე ავადპარას ალპების ჩათვლით ეროვნული პარკის  
მოწყობა, რიწის ტბაზე ტურისტთა ორგანიზებული  
სვლა განტვირთავს ნაკრძალს მნახველებისაგან, ხოლო  
ტბას დაკარგვისაგან დაცავს.

ეროვნული პარკების მოწყობა დიდი მამულიშვილუ-  
რი საქმეა.

არნოლდ ვაგნეროვი,  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.  
ფოტო ავტორისა.



ავსახაეთი. რიწის ტბის მიდამოები.

ზურამ ყველაფერი იცოდა.

იცოდა, რად უნდა წამდღვარებოდა სიტყვა „ჭიღრო“ იმ  
ელექტროსადგურს, რომელსაც ენგურჭესელები მიწის ქვეშ  
აშენებდნენ და რომელსაც მთელი ქვეყნის მიწისქვეშა სად-  
გურებს შორის სიდიდით ბადალი არ მოეძებნებოდა.

ზურას გაკვეთილის წაკითხვა მეორედ არა სჭირდებოდა.  
ერთხელ მოსმენილი სამუდამოდ ახსომდებოდა, ახსნილსაც ძა-  
ლიან მალე ხვდებოდა, მაგრამ...

არა, სჯობს თავიდან დაწვრილებით მოგიყვეთ, მაშინ  
თვითონ მიხვდებით ყველაფერს...

ზურა და ბექა ენგურჭესის დასახლებაში ცხოვრობენ.  
ერთ დღეს ისინი ენგურჭესის სქემას ათვალთერებდნენ.  
ზურამ ამ სქემისაც ყველაფერი იცოდა.

იცოდა, მდინარე ენგურის კალაპოტში ორას სამოცდა-  
ათმეტრებიანი თაღოვანი კაშხალი რომ შენდებოდა. ეს კაშხა-  
ლი ენგურს უშველებელ წყალსაცავად აქცევდა. აქედან წყა-  
ლი თხუთმეტკილომეტრიანი გვირაბით მიწისქვეშა გენსად-  
გურამდე მივიდოდა. იქ გვირაბი ხუთ სადაწნეო მილსადენად  
დაიბოტებოდა. თითოეული მათგანი თავ-თავის ტურბინას-  
თან მიიყვანდა წყალს, რომელიც ამ ტურბინებს დაატრი-  
ალებდა და გამომუშავებულ ელექტროენერგიას არა მარტო  
საქართველოს, მოძმე რესპუბლიკებსაც მიაწოდებდა. იცოდა,  
კაშხალი იმ ნაგებობას რომ ერქვა, რომელიც წყლისთვის  
გზის გადასაღობად შენდება, და ისიც — ქვეყანაზე მრავალ-  
ნაირი კაშხალი რომ არსებობს: ქვისა, მიწისა, ქვაცირლისა,  
ბეტონისა...

ზურა ამ თავის ცოდნას ბექასაც უზიარებდა ხოლმე, მაგ-  
რამ ბექა ერთხელ ნათქვამით არასოდეს კმაყოფილდებოდა  
და შეკითხვებით გულს უწყალებდა. იმ დღესაც ასე მოხდა.

— ზური, რას ნიშნავს თაღოვანი კაშხალი?

— აი, შეხედე ცას.

ბექამ ცას ახედა.

— ხედავ, ქვეყანას ცა ქუდივით, ანუ თაღივითა აქვს  
ჩამორქმეული. ბურთს ცოტა რომ ჩამოაჭრა, ხომ იქნება ცის  
თაღის მსგავსი. მერე ამობურცული მხარე წყალს რომ მი-  
უშვირო... მომეცი მაგიდის ჩოგბურთის ბურთი.

— ჩაჭყლეთილი როა, გამოგადგება?

— არა უჭირს რა, მარტო ცალი მხარე მჭირდება.

ბექამ ჯიბიდან პლასტმასის პაწია ბურთი ამოიღო.

— წამო ჩელალთან\*, იქ გაჩვენებ, — უთხრა ზურამ.

ტყე უკაცრიელი იყო. შარშანდელი ფოთლები მიწას სქელ  
საბნად წაფარებინა. ერთ ადგილას მდინარე ნაქურდალზე  
წასწვრებულებით განაბულიყო.

ზურამ ანიშნა, აქ გაჩერდით. თვითონ მდინარის გასწ-  
ვრივ ჯოხით ვიწრო რუ გაკვალა და წყალი შიგ გადმოავლო.  
მერე ჯაყვით ბურთი ნაკერზე გადასხნა, ჩაჭყლეთილი  
ნაწილი გადაადგო, მეორე ნახევარი რუში ჩადო, ეს კაშხა-  
ლი იყოსო, და წყალს გზა ისე გადაუღობა, რომ ჩაზნექილი  
მხარე ქვევით მოაქცია, გვერდებთან კენჭები ჩაუწყო, წყალმა  
არ წაიღოსო, მაგრამ როგორც კი ხელი გაუშვა, მაშინვე გა-  
იტაცა დინებამ.

— ხედავ, რა მოუვიდა? ახლა შევაბრუნოთ — ამოხნე-  
ქილი მხარე დინების საწინააღმდეგოდ შეუქცითო. ნახე,  
თუ არ გაუძლოს.

„კაშხალმა“ დინებას გაუძლო.

— ეს ზუსტი ცდა არ არის, მაგრამ მაინც ჩანს, ცის  
თაღისნაირი კაშხალი წყლის დაწოლას სხვა ფორმისაზე  
უკეთ რომ უძლებს. თაღოვანი კაშხალის სიგანე ჩვეულებრივ-  
თან შედარებით თითქმის ექვსჯერ ნაკლებია.

— მერე, რატომ ყველგან ასეთ კაშხალებს არ აშენებენ,  
რალად უნდათ ჩვეულებრივი?

— თაღოვანი კაშხალი ორივე მხარეს უთუოდ კლდეს

\* ჩელალი — თეთრი მდინარე.

უნდა ებჯინებოდეს, ისე ვერ დაიჭერს წყალს.  
 — ებჯინებოდეს, რა, ვინ უშლის?  
 — სად იპოვი ამდენ ორივე მხარეს კლდიან ნაპირს?  
 — ნა, — დაეჭვდა ბექა, — ყველა მთის მდინარეს კლდოვანი ნაპირები აქვს?  
 — მდინარეს ძალზე იშვიათად აქვს ორივე ნაპირი კლდისა. თუნდაც ჰქონდეს, ცალი მხარე მუდამ დაბზარულია თურმე. ამიტომაც ხედონის კაშხალი თაღოვანი კი არა, ყრილი ქვისა შენდება.  
 — ზურა, თითოეული ეგ წყალსაცავი თბილისის ზღვის ტოლი იქნება?  
 — უფრო დიდი.  
 — ერთი ქვევით იქნება და მეორე ზევით?  
 — ჰო, საფეხურებივით.  
 — ენგურაქვის მშენებლობა რომ დამთავრდება, ხულონისას მერე დაიწყებენ?  
 — არა, მანამდე.  
 — მანამდე? — გულნაკლულად იკითხა ბიჭმა.

# გასკანა პოსტს

მელა  
შავლიაშვილი

მხატვარი  
გიორგი ძლივაძე.

მოთხრობა

— რა იყო, არც ამაში გქონია ბედი? — გაეცინა ზურას. ბექა თავისი ბედის უკმაყოფილო იყო, რადგან მეტისმეტად გვიან დაბადებულად თვლიდა თავს. რაც კი რამ მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერი მის დაბადებამდე აშენებულიყო. ენგურაქვის მშენებლობაში ხომ ვერ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ხულონის კაშხალიც უიმისოდ რომ აშენდებოდა? არადა, მაინცა და მაინცა აშენება უნდოდა, სხვას არაფერს თვლიდა საინტერესოდ.  
 — ზური, რა იქნება, ჩვენც რომ ავაშენოთ თაღოვანი კაშხალი?  
 — არაფერი არ იქნება, მაგრამ სად ავაშენოთ?  
 — აი, თუნდაც ამ ჩელაღზე.  
 ზურამ ბევრი რამ იცოდა თეორიულად, რაც წაიკითხებოდა, რაც მოისმინებოდა, რისი ნახვაც თეატრში, კინოში ან ტელევიზორში შეიძლებოდა, აშენება კი არც იცოდა და არც უყვარდა.  
 — მერედა, რაში გამოვიყენოთ ის კაშხალი?  
 ბექასთვის სულ ერთი იყო, რაში გამოიყენებდნენ. მისი აზრით საინტერესო თვითონ აშენება იყო. მაგრამ ზურას ამბავი რომ იცოდა, ცდილობდა, ისეთი რამ მოეგონებინა, დაინტერესებინა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა:  
 — საცურავი აუზი მოვაწყოთ.  
 ზურას ეტყობოდა, ჭკაუში დაუჯდა ეს აზრი.  
 — ღრმა და გრძელი აუზი, ზური. ჩვენს აუზში მუდამ უსუფთაო წყალია, თავიდანვე ვიწრო მილი ჩაუდიათ, დაცულა-ავსებას ორი დღე სჭირდება. აქ კი წყალი მუდმივად ივლის და თავისთავად გასუფთავდება.  
 ზურამ იცოდა, კაშხალის აშენებას დიდი შრომა რომ სჭირდებოდა, მაგრამ ცურვა ისე უყვარდა, თანაც ბექა ისე იმედინად შეპყრებდა, უარი ვეღარა თქვა.  
 — კარგი, ვცადოთ, — ჩაიღუღუნა.  
 ბექას მეტიც არ უნდოდა. მაშინვე ქვების მოზიდვა და მუშაობის დაწყება დააპირა.

— მოიცა, ეგრე არ იქნება. ჯერ ის უნდა ვთქვათ, რის გაკეთებას ვაპირებთ. თუ კაშხალი მაღალი იქნება, წყალი ნაპირებს გადმოლახავს, თუ დაბალი — დიდი აუზი არ გამოგვივა.  
 — ზური, მაღალი კაშხალი ავაშენოთ და ნაპირები ჯებირებით ავუმალლოთ, როგორც წყალსაცავებზეა.

მესამე დღე დასასრულს უახლოვდებოდა, რაც ბიჭებმა ტყეში ბინა დაიდეს. ერთი ეგ იყო, იქ არ იძინებდნენ, თორემ გათენებას ლამის ტყეში ეგებებოდნენ. დილაბინდზე ფაცნაფუცხით წამოცვივდებოდნენ, ზეზეულად წაიხემებდნენ და საქმეზე დაგვიანებულებივით გარბოდნენ საგზალით საესე აბგებით.  
 მდინარის ნაპირები ბრტყელ-ბრტყელი ქვებით აამალლეს, უკანიდან თიხა მიაყარეს, დააფერდობეს. ქვებსაც და თიხასაც პატარა, ცალთვლიანი ურიკით ეწივდებოდნენ. ის ურიკა ბექამ გააკეთა. ფერდობზე აათრევდნენ, ერთს ამოიქმენდნენ და გადმოაპირქვავედნენ. ზევიდან ჩამოშვავებული მიწა ქანობად ლაგდებოდა. მერე იმ ქანობზე ზევით-ქვევით იმდენს დადიოდნენ, ორივე ფერდი დაიტკეპნა და ყამირივით გამაგრდა.

რაკი გვერდებს მორჩნენ, კაშხალის აშენებას შეუდგნენ გულდაგულ. ბრტყელსა და ერთმანეთთან ადვილად მისადაგებელ ქვებს მდინარის ფსკერზე ეძებდნენ. ყინულივით ცივ წყალში ფეხშიშველები დააბოტებდნენ. კაშხალი საკუთარ მხრებს ააცილეს, კარგა დიდზე აამალლეს. თითქოს ახლო იყო მშენებლობის დასასრული. მაგრამ რა — ჯებირის ქვებს შორის წყალი ისე არხეინად მოჩხრიალებდა, როგორც მსხვილნახვრეტებიან საცერში. არა, სულ არ გუბდებოთ, არ ითქმოდა, მაგრამ ის გვერდები რისთვის აამალლეს, თუკი წყალს მუხლზევით ვერ ააწვევინებდნენ დონეს?

ჯერ ისევ ნახევრად აშენებული კაშხალი თიხით შელესეს. გაგიგონია? ჭაფჩა მოშორებული არ ჰქონდათ, რომ სველ თიხას კუტი პურივით ტყაპანი გაჰქონდა წყალში. მერე გადაწყვიტეს თიხა ქვევიდან დაეყარათ და ისე დაეტკეპნათ, როგორც ნაპირა კედლებთან. არც იქიდან გამოვიდა რამე, რადგან ის კედლები სიმშრალეში ამოაშენეს, აქ კი წყალი მხიარულად მოჩხრიალებდა და, სანამ ურიკას მეორედ ააპირქვავედნენ, წვლან ჩაყრილს ყაჩაღივით იტაცებდა და მიაქროლებდა.

როგორც ვთქვით, მესამე დღე იწურებოდა. ბიჭები დანაყრდნენ. დაისვენეს. მერე ბექამ თქვა, ახლა წინიდან ჩავუყაროთ თიხაო. ზურამ ყურიც არ გააპარტყუნა. ბექას შიშმა პირველად მაშინ გაჰკენწლა გულზე.

— ზური, შენ მწერალი იოსებ დიკი გაგიგონია?  
 — როგორ არ გამიგონია, კინოცა ვნახე იმისი სცენარით გადაღებული.  
 — იცი, იმას არც ერთი ხელი არა აქვს.  
 — როგორ თუ არა აქვს?  
 — ორივე ხელის მტევნები საველე ჰოსპიტალში დატოვა. ზურა გაოგნდა.  
 — იმ უმტევნებო, პროთეზიანი ხელებით თურმე დილიდან სადამომდე უკაკუნებს საბეჭდ მანქანას.  
 ბექამ თვითონაც არ იცოდა, რად უყვებოდა ამ ამბავს ზურას, მაგრამ შემჩნეული ჰქონდა, როცა თვითონ შრომა უჭირდა, იოსებ დიკის ხელების განსენება შეელოდა.  
 — ისიც თუ იცი, ბევრი ხატვისაგან რეპინს ხელი რომ გაუხმა? იმ ხელს კისერზე ჩამოიკიდებდა, მეორე ხელით ფუნჯს მიაჩეჩებდა და მაინც ხატავდა.  
 როცა ბექა მუსიკაში მეცადინეობაზე უარს ამბობდა, ამ ამბებს მაშინ ახსენებდა დედა. ერთხელ, ბეთჰოვენის სონატის





— შენ დაანგრიე კაშხალი? — უყვირა მან ბექას.  
 — ვინ დაანგრია კაშხალი? — კითხვა ბექასი.  
 ნებულმა ბექამ.  
 — მეც მაგას გეკითხები, ვინ დაანგრია-მეთქი.  
 — მე არაფერი ვიცი. ვინ გითხრა, დაანგრიესო, იქ იყავი?

— არა, იქ არ ავსულვარ. ჯერ შენთან მოვედი, მეგონა, რაკი მე წამოვედი, გეწყინა და შენ თვითონ დაანგრიე გაბრაზებულმა.

— აბა საიდან იცი, რომ დაანგრიეს?

— ეს-ეს არის ვნახე...

— აკი არ ავსულვარო?

— არ ავსულვარ. დამაცადე, მათქმევინე. კაშხალი არ მინახავს. დილას ვარჯიშის შემდეგ ტანის დასაზელად მდინარეზე ჩავედი და ვხედავ, წმინდა წყალი მოდის, გესმის, სუფთა წყალი! მოწითალო კი არა, თიხაგარეული კი არა, ანკარა წყალი მოდის! — ზურა ყვირილითა და სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა.

ბექა გაშტერებული შესცქეროდა.

კედელთან აყუდებულმა ზურამ როგორც იქნა გააგებინა, რომ მდინარე, რომელიც გუშინ საღამოს თიხანარევი და აღვრეული მოდიოდა, ამ დილას სავეებით დაწმენილი, ჩვეულებისამებრ გამჭვირვალე გამხდარიყო.

ბექამ არ იცოდა, რა ეფიქრა. ნუთუ წყალმა ერთ ღამეში მთელი თიხის კაშხალგარეთ გამოტანაც მოასწრო და დაწმენდაც? ხელისგულებზე დაიხედა. ბებერები უკვე ჩაჩუტულიყვნენ, მაგრამ ნაბებრალეები კვლავ ეწვოდა. სწრაფად შევარდა ოთახში, ტანთ ჩაიცვა და ტყისკენ მოუსვა.

ზურა უსიტყვოდ მისდევდა უკან.

წყალსაცავი გალიცილიცებული დახვდათ...

— წყალმა თიხით ქვეშორის ღრეჩოები თვითონვე გატედა და სავალი გადაიკეტა. ამას კოლმატაცია ჰქვია, კაშხალის წინ ასეთნაირად ჩაყრილ მიწას კი — თიხის ეკრანი, — ფიქრის შემდეგ თქვა ზურამ.

ზურამ ყველაფერი იცოდა.

დაკვრაზე გაჭირვებულა. მაშინ მასწავლებელმა უამბო, როგორ დაწერა ეს სონატა ყრუ ბეთპოვენმა.

ბექას შეგონებამ მაინც ვერ გაჭრა. ზურამ უარი განაცხადა მუშაობის გაგრძელებაზე. წვალებით აშენებული კაშხალის დალატმა აუცრუა გული.

მომდევნო დღეს ბექა მარტო მოვიდა სამუშაოდ.

ურიკის დამტვირთავიც თვითონ იყო, გამწვევიც. გუშინ დატკეპნილ ფერდობზე აჰქონდა და წყალსაცავში ცლიდა. სანამ ნაყარი თიხა წყლის დონეს ასცილდებოდა, ნამუშევარს ბარაქა არ ედებოდა. როცა ნაყარი ამაღლდა, ზედ დაიწყო ურიკის ტარება, სწორედ ისე, როგორც თვითმცლელები აცარიელებენ ხოლმე ძარებს ფლატის ნაპირას. ვინ იცის, რამდენჯერ გადმოპირქვაგდა ურიკა კაშხალის წინ, რამდენჯერ გაიარ-გამოიარა მისმა თვალმა ნაყარზე და ბიჭის შიშველ ტერფებთან ერთად დაკვალა და დატკეპნა.

ზევიდან მოლიკლიკე მდინარე თეთრი და გამჭვირვალე იყო. ფსკერზე ჩატკიკტიკებული ყველა კენჭი ჩანდა. წყალსაცავში ჩაყრილმა მიწამ დონე აამალა, მაგრამ წყალი თიხისფრად შეღება და ერთიანად ამღვრია. კაშხალის ტანიდან მოჩხრიალე ნაკადმა იკლო. ოღონდ, რაც გამოდიოდა, იმასაც თიხისფერი ჰქონდა. ეს კი იმისი ნიშანი იყო, რომ წყალი თიხას „იპარავდა“.

ბიჭს გუნება იმ წყალივით ემღვრეოდა. ასე თუ გაგრძელდებოდა, ბოლოს და ბოლოს, მთელ მიწას გარეთ გამოიტანდა წყალი. მაგრამ ბექა მაინც არ იღებდა ხელს მუშაობაზე...

კარზე ვილაცამ ისე დააბრაზუნა, თითქოს მდევარი ფხვდაფხვ მოსდევსო.

— ვინ არის? — ბექა ლოგინიდან ხელნაკრავით წამოხტა და, სანამ პასუხს მიიღებდა, კარი გააღო.

კართან ზურა იდგა, აქოშინებული.

როცა ამ მოთხრობას ვწერდი, თვალწინ ერთი კაცი მედგა ერთთავად. მაღალი იყო, ხმელ-ხმელი. მეტყველი სახე და თლილი, თეთრი თითები ჰქონდა. ის კაცი ქართული არ იყო, მაგრამ არათუ ახალს, ძველ ქართულსაც ზედმიწევნით ფლობდა. ქართულისა და თავისი დედაენის გარდა კიდევ თორმეტი ენა იცოდა.

ვინც იმ კაცს იცნობდა, მის ნიჭსა და უნარს ყველა გულწრფელად შენატროდა. თვითონ კი... თვითონ, პირიქით, შენატროდა ყველას, ვისაც თუნდაც გროშის საღირსი რამე შეეძინა.

იმ კაცმა ერთი ენიდან თავის დედაენაზე თარგმნა სცადა და არაფერი გამოუვიდა. მერე შეეცადა, ერთ-ერთი ენა მაინც ესწავლებინა სხვებისთვის. ვინ იცის, რამდენი მოწაფე — მოზრდილი თუ მოზარდი გამოიცვალა, მაგრამ ვერავის ასწავლა! მერე მეცნიერებაში სცადა იმ ენების გამოყენება და იქაც ვერავის ვერაფერი შემატა.

ახლა მაგონდება, სხვა კაცსაც ვიცნობდი. იმას ხელები დღენიდაც მაზუთითა და ზეთით ჰქონდა მოსვრილი. ჭამის წინ დიდი გულმოდგინებით იბანდა, მაგრამ თითების სახსრებში მაინც შავი ხაზები რჩებოდა. ყოველ შეხვედრისას, გამოვიგონო, მახარებდა და დაწვრილებით მიხსნიდა, რა გამოვიგონა. მერე რომ შემხვდებოდა, დარცხვენილი ღმილით იტყოდა, ის გამოგონება უკვე ცნობილი ყოფილა, მაგრამ ახლა სხვა გამოვიგონეო, და ახლა იმის ახსნას იწყებდა.

იმდენჯერ გამოვიგონა, იმდენს ეცადა, რომ ბოლოს მაინც ისეთი რამ გამოვიგონა, რაც ჯერ არსად არავის გამოეგონებინა.

ცნობილ ქართველ პოეტს გიორგი კაჭახიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი კაჭახიძემ მწერლის უაღრესად საპატიო ტვირთი იტვირთა. ამ ხნის მანძილზე იგი თავისი მხატვრული სიტყვითა და მოღვაწეობით მუდამ პირნათლად ემსახურებოდა მშობელ ხალხს, სათაყვანო მამულს და თვალსაჩინო კვალი გაიტანა ქართული საბჭოთა პოეზიის ყამირზე.

დიდაა გ. კაჭახიძის ღვაწლი ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურის ზრდასა და დავაუკაცებაში, რომელსაც სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე ერთგულად შეუდგა მხარი. „ბავშვები ჩვენი მომავალია და როგორც მათ აღვზრდით, მამულიც ისეთი გვექნება, ამ შეგნებით ცოტა ლექსი არ დამიწერია მათთვის“, — ამბობს ამაგდარი პოეტი. სწორედ ამ უკეთილშობილესი შეგნებით, ჩვენი ქვეყნის ნორჩ მოქალაქეთა სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნით, ნატიფი ქართულით არის ამეტყველებული ლექსთა კრებულები: „მაღლაზებისთვის რაც მიმღერია“, „ჩვენთვის გალობს ყველა ჩიტი“, „გაზაფხული მოგვილოცეს“, „სწავლასა და სიხარულში“, „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“, „მადლობელი



# გიორგი კაჭახიძე

დაბადების 70 წლისთავი

ვართ, მერცხალო“ და სხვ. ყველა ისინი მოზარდებს შთააგონებენ მშობლიური მიწა-წყლის, დედაენის, ადამიანურობის, ცოდნის, შრომის, ბუნების მხურვალე სიყვარულს, მამაცობას, ყველა ერისა და ეროვნების პატივისცემას... პატარებისადმი ჭეშმარიტი სიყვარული ზუსტად არის გამოხატული სტრიქონებში: „თქვენ ხართ ჩემი სიხარული, იმედი და თვალისჩინი, თქვენ რომ მღერიოთ, მეც ვლილინებ, თქვენ რომ დარდობთ, არ ვიციანი“.

გიორგი კაჭახიძე წლების მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „პიონერს“, რომლის ყოველმხრივ სრულყოფისათვის თავდადებით იღვწოდა. მან არაერთი ახალგაზრდა მწერალი და მხატვარი დააფრთიანა „პიონერის“ ფურცლებზე. მსოფიანი პოეტი დღესაც ჭაბუკური ენერგიით, დაუზარებლად ეხმარება ჩვენი ჟურნალის შემოქმედებით კოლექტივს მის ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ნორჩ მკითხველებთან ერთად სულითა და გულით ულოცავენ ძვირფას პოეტს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

## ვინ ვაქნობა ვაზაფხულის დაზოუნება?!

როდის გაჩნდით, ყვავილებო, როდის მოდით?!  
კაცის თვალის დაგიტყობათ და ბუნებაც.  
ამ ჭალაში რომ გელოდით, რა იცოდით,  
ვინ გაცნობათ ვაზაფხულის დაბრუნება!

რა სინათლეს,  
რა იმედიც ჩემს ბედს მართავს,  
თქვენც ბნელისგან იმ სიკეთის სითბომ გიხსნათ.  
ო, რა ზამთარს გადავურჩით, ო, რა ზამთარს,  
სულს წეწავდა, როგორც უღვთო ზეცის რისხვა.

ძალას კვლავაც იმ სიკეთის სითბო მოგვცემს,  
მე ამ რწმენამ დამიწმინდა ხმა და კილო,

მაინც ვცდილობ, მღვრიედ რავე არ წამომცდეს,  
უნებლიეთ ღია გული არ გატკინოთ.

ვინ მოგნათლათ,  
ნეტავ რომელს რა დაგარქვათ,  
რას ჩურჩულებთ, ყვავილებო, ხმა გამეციოთ!  
მინდა ბავშვად თქვენს სიზმრებში გადავარგვა,  
წინ გვა მედოს საუკუნის დასაკეცი.

გიორგი კაჭახიძე



ნორი კორასკონდვთა ჟურნალი № 5

# ბერიები არ კვლევიან

სამშობლოს სიყვარული არის და მუდამ იქნება ჩვენი ხალხის მასაზრდობელი მოთხოვნა. ჩვენი ახალგაზრდობა, თუ საჭირო გახდება, უყოყმანოდ მიიტანს თავს სამშობლოს სამსხვერპლოზე. მრავალი ადამიანი ეკვეთა ფაშისტ არამზადებს და გმირულად დაეცა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში... და განა მარტო ჩვენში, სამშობლოსათვის სწირავდნენ თავს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებიც.

ომში დაღუპული ახალგაზრდების გახსენების მიზნით ჩავატარეთ ნორჩი გმირის დღე, სადაც ვილაპარაკეთ დანიელ ფერის, ფადის ჯამალის, ვლ. ბეროშვილის, ზ. რუხაძის, თ. იოსებიდის, შ. გამცემლიძის, ზ. კოსმოდემიანსკაიას და სხვათა შესახებ.

ნონა ძალაგვიშვილი,  
გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## სტუმრად მწყემსებთან

ამას წინათ მატნის I საშუალო სკოლის პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოვაწყვეტე შაბათობა ჩვენი სოფლის განაპირას მდებარე №1 მეძროხეობის ფერმაში, თან გვახლდნენ მასწავლებელი — ნ. ურჩუხიშვილი და პიონერხელმძღვანელი — დ. ნონიშვილი.

ფერმაში ყოფნის დროს გავეცანით და ვესაუბრეთ სახელგანთქმულ მწყემსებს: ა. ტერაშვილს, მ. დოიჯიშვილს, შ. მამუკელაშვილს და სხვებს, დავხმარეთ პირუტყვის მოვლაში, რაზედაც მწყემსებმა მადლობა გადაგვიხადეს.

გადავწყვიტეთ უახლოეს მომავალში ისევ ვესტუმროთ ფერმის მუშაკებს და კონცერტი გავუმართოთ.

ლეილა ბათუჩიშვილი,  
ახმეტის რაიონის სოფელ მატნის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

## ჩვენი რაზმი

ჩვენმა რაზმმა სკოლაში განსაკუთრებით მაკულატურის შეგროვებით გაითქვა სახელი — 500 კილოგრამი შევაგროვეთ. მესამეკლასელ ოქტომბრელებს ვამზადებთ პიონერთა რიგებში შესასვლელად: ვასწავლით ლექსებს, სიმღერებს, ვუკითხავთ ზღაპრებს, პატარ-პატარა მოთხრობებს. დავათვალეობენით შ. დადიანის სახლ-მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი. ჩავატარეთ ოქტომბრელთა კვირეული და მოვაწყვეტე ოქტომბრელთა კუთხე. 8 მარტს

პიონერთა სასახლეში ჩავატარეთ კონცერტი. ამჟამად ვამზადებთ სპექტაკლს „იისფერას“, სადაც ბევრი ოქტომბრელი მონაწილეობს. ვატარებთ თამაშს „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“. სარგმართოდ საჩუქარი ვავუგზავნეთ ბამელ მეგობრებს. ჩვენს რაზმს კიდევ ბევრი საინტერესო რამ აქვს განზრახული.

ნატო ლოგჯანიძე, ჯილდა ანთელავა, ხათუნა აპუბარდია, ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი.



ზავრი უოფილა  
ვპირავინოსანი,  
ზავრ ლამაზ ქალზეც  
თქმულა ზღაპარი,  
მაგრამ თავისი  
ჰკუთნო და საკმით  
ჰხეხნად ერთია —  
დიდი თამარი.

მანანა ჯანიაშვილი,  
თბილისის 130-ე საშუალო  
სკოლა, II კლასი.



# ქურგუნი მიქაძე პირი

## მუსა ჯანაშიანი

მხატვარი ბ. ფოცხიშვილი

მოთხრობა

ნაწყვეტი წიგნიდან — „იქ, სადაც თბილი, ცისფერი ისიყ-ყულია“.

კოლმეურნეობის საზამთრო სადგომი აილიდან კარგა შორს იყო. ზაფხულში იქამდე ორი საათის სავალია, ზამთრობით კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ თოვლს ჩამოჰყრის. შესაძლოა, სულაც რამდენიმე კვირით ჩაიკეტოს გზები...

იმ წელიწადს დიდი თოვლი მოვიდა, ყინვამ ოცდაათ გრადუსს მიაღწია. აიღულები ჟღალი ფერის ქურქებში გამოეწყვნენ. სადგომებში მოზამთრეები კი სოფელში მოემურებოდნენ ბეწვიანი ტანსაცმლისა და თბილი საბნებისათვის. ზამთარი არ ხუმრობდა, მართლა ზამთრობდა.

ხერგიტოს ხეობაში ზვავი ჩამოწვა. საზამთრო სადგომებამდე მიღწევა გაჭირდა, მისასვლელი გზები გადაიკეტა. მხოლოდ ყველაზე მამაცი თუ გაბედავდა უღელტეხილზე გადასვლას. ძველი გზა ხომ საბოლოოდ გაუქმდა გაზაფხულამდე, ხოლო ახლის გაკვალვა მთების შემოვლით თუ მოხერხდებოდა...

სადამოს სკოლიდან მომავალ ტურგუნს თავისი ძალი მიეგება. მიონოკმა პატრონს ხელები აულოკა, ძალს მოუსვენრობა ეტყობოდა, ტურგუნმა ალერსიანად მოუთათუნა ხელი და უცებ საყელურზე გამოკრული ტომსიკა შეამჩნია. სასწრაფოდ შეხსნა და თასმები მოაშორა, ტომსიკაში უფროსი დის წერილი აღმოჩნდა:

„ტურგუნ! საზამთრო სადგომებში ცივა. ბავშვები ავად გახდნენ. ექიმთან წასვლას აზრი არა აქვს. ვერც გადმოვა, ძალიან დიდი თოვლია. იყიდე წამლები გაცივებულთათვის და, თუ იქნება, საწოვარებიც პატარასთვის. ვფიქრობ, შენი ჯიგიტებით შეძლებ ამ ძნელი გზის დაძლევას. მარტო არ წამოხვიდე.“

მომიკითხე დედა და მამა — შენი და კანიმი“.

ტურგუნი შინ არც კი მისულა, პირდაპირ მედპუნქტში გაიქცა. მედიცინის დამ წამლები და საწოვარები მისცა.

შინ დაბრუნებულმა ტურგუნმა ძალი კვლავ სადგომებში გაუშვა, შემდეგ ივანეშმა და დასაძინებლად დაწვა. ტურგუნს შეეძლო, როცა უნდოდა დაეძინა და ასევე დროულად გაეღვიძა.

გათენებამდე ადგა. ბინდ-ბუნდში სასწრაფოდ დანაყრდა, თბილად ჩაიცვა, აიღო წამლები, ხელზე დედის პატარა საათი გაიკეთა და რომ არავინ გაეღვიძებინა, ფეხაკრეფით გამოვიდა სახლიდან.

ტურგუნს თხილამურები კარგი ჰქონდა, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის სანადირო დანით შეიარაღდა.

დილის სუსხმა ლოყები აუწვა. ხეობაში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ნიავიც კი არ იძვროდა.

უკვე გათენდა, როცა ტურგუნი ზვავს წაადგა. ხეობას მართლაც გაზაფხულამდე არაფერი ეშველებოდა. ტურგუნს მეტი რა გზა ჰქონდა, ზვავისათვის რომ გვერდი ექცია მთის ციცაბოს შეუყვავა: ადიოდა დიდხანს, თითქმის მთის თხემს იყო მიღწეული, რომ უცებ ჯოხი გადაუტყვდა. ისევ უკან დაბრუნება მოუხდა, მერე კვლავ შეუდგა ძნელ აღმართს.

მთის თხემზე, მომცრო ქვებს შორის ტურგუნი როჭოების გუნდს წააწყდა. ისინი სწრაფად გაუჩინარდნენ ღრმა თოვლში, სადაც ტურგუნი ისე ჩაეფლო, ძლივს მოახერხა ამოსვლა. უკვე დილის ათი საათი იყო. ტურგუნს ტანსაცმელი ოფლმა გაუჟღინთა, გასურებული ზურგიდან ოხშივარი ასდიოდა.

ზამთრის სადგომი უკვე ხელის გაწვდენაზე იყო. უღელტეხილზე თუ გადავიდოდა, იქიდან უკვე დაღმართი იწყებოდა, კაცის თხუთმეტ წუთში ჩააღწევდა.

აი ის ადგილები, სადაც ზაფხულობით მარწყვი უკრეფია. კარგი დრო იყო მაშინ, გზებიც იოლი სავალი...

მაინც რატომ ხდებოდა ადამიანები ავად? ასე რომ არ იყოს, ალბათ ორას წლამდე მიადწევდნენ. სამოცი წლის ადამიანი შეიძლება ფეხბურთელი ყოფილიყო. აი კომენტატორი აცხადებს: „სამოცი წლის ახალგაზრდა მეკარე ტურგუნი დღესაც საიმედოდ იცავს საკუთარი გუნდის ღირსებას“.

მწვერვალი. ბიჭმა დაბამბული ჯუბა გაიხადა, ოფლიან, გასურებულ სახეზე მოისვა. ესეც საზამთრო სადგომები! ხელი რომ ცოტა გრძელი ჰქონდეს, გა-



იწვდიდა და ცას შეყინულ კვამლის სვეტებს შეხსნიდა. წინ!

ქარმა ავად დაისისინა. დაუბერე, დაუბერე — მაინც არ შეგჩერდები! მოულოდნელად წინ ფლატე გადაელობა. გადაქანდა, შიშისაგან თვალები დახუჭა.

— გაახილე! — მკაცრად უბრძანა თავის თავს.

გაახილა. გადახტა, გაფრინდა. მაგრამ არ დაცემულა!

მხოლოდ ფუმფულა თოვლი მარათსავით აიჭრა ჰაერში და ქარმაც უფრო გაბმულად დაიზმულია.

„... რაც მთავარია, — მთები ფეხქვეშ არის“...

ტურგუნი მთელი სისწრაფით მიქროდა, თავის შეკავება აღარ შეეძლო და აი მდინარე. პირდაპირ წყალში მოაღინა ტყაპანი. ჩაყვინთა, მაგრამ იმარჯვა, კიდევ კარგი, რომ თხილამურები წასძვრა და წყალიც თავთხელი შეხვდა.

ძლივს მიადწია ნაპირს. ტანსაცმელზე მაშინვე ვერცხლისფერი ლოლუები დაეკიდა.

ვერავი ტორგუ-ბულაკი! ეს ის გადაუდგა გზაში თავისი მარადგაუყვინავი ნაკადებით. მაინც როგორ ვერ გაახსენდა ტურგუნს ეს? ფეხები დაუბუჟდა. ძლივს იპოვა თხილამური, გახვევებული თითებით მიიმაგრა ფეხსა-

ცმელზე. ძალა მოიკრიბა და გასრი-  
აღდა.

ღონეგამოცლილი ტურგუნის ძლივს  
მოძრაობდა. სველი თხილამურები ვე-  
ლარ სრიალებდნენ, ფეხებიც აღარ  
ემორჩილებოდა. ზევიდან საზამთრო  
სადგომები ახლო ჩანდა, ახლა კი  
იქამდე კილომეტრები გაჭიმულიყო...  
მთელი ხუთი კილომეტრი...

შეესვენა მაინც!...  
მაგრამ ტურგუნმა იცოდა, რომ გა-  
ჩერება არ შეიძლებოდა. გაჩერდები და  
მორჩა! ფეხები გაგიშემდება და ზედ  
სადგომებთან მისულს ამოგძვრება სუ-  
ლი.

... ძაღლებმა დაიყეფეს. ყელში სი-  
ხარული მოაწვა. უნებურად ტირილი  
წასკდა.

მივალწევ!  
შეჯიბრებაში ხუთ კილომეტრს ოც  
წუთში გავდიოდი, ნუთუ ახლა საათშიც  
ვერ მივალწევ? მხოლოდ მოძრაობაა სა-  
ჭირო, თუნდაც ხოხვით... აი ისინი —  
სახლები. ირწვივიან, თითქოს მათაც  
ძალა გამოლევიათო.

მაინოკი მაინც შეხვედროდა...  
როგორც იქნა, გალია ხუთი კილო-  
მეტრი.

პარმალზე ავიდა, კარზე მიაკაკუნა.  
კარები დამ გაუღო.

— ტურგუნ, საყვარელო, მოხვედი!  
ტურგუნს უნდოდა რაღაც ეთქვა,  
მაგრამ ენა ვერ მოატრიალა პირში.  
„ფეხები დამისველდა და ენა კი დამ-  
ზრობია!“ — გაცინა თავის თავზე.  
წამლებიანი ჩანთა მოიხსნა და დას გა-  
დასცა. მაგრამ იმავე წუთს თვალთ და-  
უბნელდა და უგრძობლად ჩაიკეცა.

— რა მოხდა? — საწოლიდან იკი-  
თხა ტურგუნის პაპამ. ისიც ავად იყო.

— ტურგუნმა წამლები მოგვიტანა.  
— მადლობელი ვარ, ღმერთმა დი-  
დი დღე მისცეს! შემოდი ტურგუნ!

ტურგუნი არ შესულა, დამ ატატებუ-  
ლი შეიყვანა.

მოსუცი საჩქაროდ წამოდგა.

— წყალში ჩავარდნილა, ტორგუ-  
ბულაკში ჩავარდნილა.

— სასწრაფოდ გახადე და კერას-  
თან მოიყვანე. ტანი დათვის ქონით  
დაუხილე, მკერდსა და ფილტვებზე  
ცხვრის ქონი წაუსვი, ცეცხლთან მი-  
აფიცხე და ისე...


კანიმი მოსუცის ბრძანებას უსიტყ-  
ვოდ ასრულებდა. ნახევარი საათის  
შემდეგ ტურგუნი გონს მოვიდა.

— წამლები მოვიტანე.  
— ჰო, საყვარელო.

— ყველა მთელია? ხომ არაფერი  
დაღვრილა?

— მთელია. მოიტა, სიცხე გაგიზო-  
მო.

სიცხის საზომმა ოცდათვრამეტი  
გრადუსი უჩვენა.



— ეს არაფერია, კანიმ, შევისვენებ  
და შინ დავბრუნდები. ტანსაცმელი გა-  
მიშრე.

— რას ამბობ, ტურგუნ! როცა კარ-  
გად გახდები, შინ მაშინ წახვალ, ესლა  
კი იწვიქი.

ტურგუნს წამოახველა და ზედიზედ  
დააცემინა.

— კარგია! — თქვა მოსუცმა. —  
დათვის ქონი გაჯდა ჯანში. კიდევ ექვ-  
სჯერ დააცემინებ — ავადმყოფობას  
თავ-გზა აებნევა, შვიდჯერ დააცემინებ

— ცხვირიდან სისხლი წაგსკდება და  
გაჯანმრთელდები კიდევ. ორ დღეს დაწ-  
ვები და ფეხზე შევლივით წამოხტები.

— შინ მალე უნდა მივიდე, პაპა! —  
ტურგუნმა ჯავრისაგან ტუჩები მოიკე-  
ნიტა. — გაკვეთილები გამიცდება, სახ-  
ლში ძებნას დამიწყებენ.

— ეე, შვილო! გაკვეთილები გაკვე-  
თილებად დარჩეს, მაგრამ, როგორც  
ჩვენთან იტყვიან, ადამიანისათვის ყვე-  
ლაზე დიდი სიმდიდრე ჯერ ჯანმრთე-  
ლობაა, შემდეგ კი — ცოლი...

ესიამოვნა მგლის ტყავის სითბო  
ტურგუნს, ნელ-ნელა რული მოერია.  
თვალეები თავისით დაეხუჭა და ღრმა  
ძილს მიეცა.

დილით გაეღვიძა. თავს კარგად  
გრძნობდა, მხოლოდ ფეხის თითები  
ექავებოდა.

სასთუმალთან მამა იჯდა.  
მოსუცი ეუბნებოდა:

— ვაჟიშვილს რატომ უნდა გაუ-  
ჯავრდე? ის ნამდვილად მამაცი ჯიგი-  
ტია. ამ დროს ამ მთების გადმოლახვა  
ძნელი საქმეა. ვამაყობ, რომ ასეთი  
შვილიშვილი მყავს.

— ეყოფა ქება, — თქვა მამამ. —  
გაიდვიძე, აღეკი, შინ წავიდეთ.

— ხვალ კვირაა, ერთი დღე მაინც  
დარჩენილიყო, — შეეხვეწა კანიმი.

— არ შეიძლება. დედამისი ამის  
გულსათვის არც იძინებს, არც ჭამს,  
ფიქრობს, ან მგელი შეჭამდა ან ზვავი  
მოიყოლებდაო... ხომ არაფერი გტკივა?

— ფეხის თითები შექავება.

— მაჩვენე... მოყინულია. დათვის  
ქონი გააქვთ?

— დავზილეთ. მთელი ტანი დავუ-  
ზილეთ.

— კარგი, არ მოკვდება. სიარული  
შეგიძლია?

— შემიძლია, — უპასუხა ტურგუნ-  
მა. „შემიძლია კი?“ — გაიფიქრა  
მაშინვე.

შეძლო.  
ჯერ ცხენით მიჰყვებოდა მამას. სა-  
ცალფეხო გზა რომ დაიწყო და ყინვა-  
მაც მოუჭირა, ცხენიდან ჩამოსტა და

რომ გამთბარიყო, სირბილით წინ გა-  
ეჭა.

მეშვიდეკლასელებს ერთი ჩვევა ჰქო-  
ნდათ: გაკვეთილების დაწყებამდე ფან-  
ჯარასთან მიდგმულ მერხებზე შემოსხ-  
დებოდნენ, ცხელ რადიატორებთან თბე-  
ბოდნენ და თან ფილოსოფოსობდნენ,  
საუბრობდნენ მომავალზე. და აი, უცებ  
გამოირკვა, რომ ულკინი თურმე მეტე-  
ოროლოგობას აპირებდა.

— მაშინ მე ყველა თქვენგანს ყო-  
ველგვარი ზვავისაგან დაგისხნით, —  
თქვა მან, — და ზუსტად გავიგებ, რა-  
ტომ არ იყინება ისიკ-ყული.

— იმიტომ რომ მარლიანია. მაგას  
რალა გამოცნობა უნდა! — წამოიძახა  
ჯაპიკმა.

— არა, მაგისტვის არა, — შეაწყ-  
ვეტინა უცებ ზაინეშმა, — მისმინეთ...

და მან აკინების<sup>1</sup> მიბაძვით მონო-  
ტონურად დაიწყო ლეგენდის მოყოლა:  
„უიწული დევს შენს გულში, ჭიგიტო!  
ცეცხლი გამჭარალა შენს გულში, ჭიგიტო!  
სიყვარული არ ძალგებს, ჭიგიტო!

ეუბნებოდა ლამაზი ასული  
ლობეზე მომდგარ ჭიგიტს.

და თუ სიყვარულს მერჩურჩულები,  
დამიბეჭიციე ყოველი, ჭიგიტო.

აჰა, ბურთი და მოედანია...

სახეზე ცეცხლი მოედო ჭიგიტს,  
თითქოს ცა წითლად შეირუჯაო,

სიხარულისგან გულწამდებად დაიდრიალა:  
„იყავი მოწმე ისიკ-ყულო,

მე დავამტკიცებ ჩემს სიყვარულს.  
ამის თქმა იყო —

ამოიგლიჯა ჭიგიტმა გული  
და მობრდვიალედ ნაკვერჩხალივით

რიალ-რიალით ისროლა ტბაში —  
აი, შეხედე, ლამაზო,

ამბობდი, გული არა გაქვსო,  
აი, შეხედე, ლამაზო.

ამბობდი, ცეცხლი გამჭარალაო,  
როგორ ბობოქრობს ტბა მოლივლივ

და მოთუხთუხებს ვით ორკიოლი,  
ცეცხლი გიზგინა ცას უერთდება,

აი, შეხედე, ლამაზო...

აინთო მერე გული ქალის,  
სარწმუნო გახდა მისთვის ყოველი

და მკლავგაყრილი ნება-ნება, მოზეიმენი  
მიენდვნენ ტალღებს ისიკ-ყულისას.

ეგრე ნელიად ჩაიტვირთნენ  
ციხფერ სიღრმეში

და იმაზეა თბილი მუდამ ტბა ისიკ-ყული.  
არც არასოდეს გაიყინება,

რა გინდ ზამთარიც მოვიდეს მთაში,  
ვიდრე მრთელია სიყვარული

ჭიგიტისა და ლამაზი ქალის...  
საღლაც სიღრმეში

რომ სახლობენ  
სამარადუამოდ...“

<sup>1</sup> უირგიზულად — სახალხო პოეტი, მომ-  
ღერალი.

— კარგი ლეგენდაა, — თქვა სამ-  
ტირმა — მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, სა-  
ცოდავებმა, თუ ყველა ლამაზმანი მოგ-  
ვთხოვს „აბა, თქვენი ბულები გვიჩვენ-  
ეთო?“

ყველამ გაიციანა. ულკანი კი ამ სი-  
ტყვებზე რატომღაც გაწითლდა.

ამ დროს კლასში ბეინეში შემოვიდა.

— ბავშვებო, ტურგუნი დაიკარგა!  
— როგორ თუ დაიკარგა?!

ზვავი რომ ჩამოწვა, იმის შემდეგ  
წასულია ხერიგოსს ხევში და აღარ  
დაბრუნებულა.

— უნდა ვეძებოთ!

— ეძებენ. ტურგუნის მამა გუშინვე  
წავიდა საზამთრო სადგომებში და ჯერ  
არც ის დაბრუნებულა. დირექტორთან  
მივიდეთ — თქვა ბეინეშმა — რა დროს  
გაკვეთილებია, როცა ამხანაგს უჭირს...

პირველად ხერიგოსს ზვავით ამოგ-  
სებულ ხევთან შეისვენეს, ჩუმად ისხ-  
დნენ. ლაპარაკი არავის უნდოდა. პირ-  
ველი ულკანი წამოღდა:

— წავიდეთ!

— შესვენება თხუთმეტწუთიანია,  
ჩვენ კი მხოლოდ ხუთი წუთია, რაც  
დავსხედით, — შეეკამათა ბეინეში.

დირექტორმა მეთაურად ის დანიშნა  
და ყველას მისთვის უნდა დაეჯერე-  
ბინა.

— მაგრამ საშველად ხომ უნდა ვიჩ-  
ქაროთ? — წამოიძახა ჯაპიკმა.

— ვიჩქაროთ... ღონის მოკრება ზე-  
ვით დაგვჭირდება.

ერთი წუთის შემდეგ ულკანმა ვეღარ  
მოითმინა.

— წავიდეთ, ბეინეში! წავიდეთ, თუ  
ღმერთი გწამს. იქნებ ტურგუნს ძალიან  
უჭირს. ბავშვებო, წავიდეთ, რა! —  
უცებ ტირილი წასკდა, მაგრამ მაშინ-  
ვე გაიციანა: — არა, არა, ნულად წა-  
ვალთ.

წასვლა მართლაც აღარ იყო საჭი-  
რო, მათ თვალი ჰკიდეს ტურგუნს, რო-  
მელიც ის-ის იყო ხეობიდან გამოჩნდა.  
უკან ცხენზე შემჯდარი მამა მოჰყვებო-  
და.

ამხანაგები შემოეხვივნენ, სიხარუ-  
ლისაგან ანჯღრევდნენ.

— გეყოფათ, — იგერიებდა ის, —  
მეყოფა ჯანჯღარი, ქვევით გაიხედეთ,  
ქვევით!

და მართლაც ღირდა გახედვად: ქვე-  
ვით ხეობის თეთრ ჩარჩოში ჩასმული,  
ცასავით ლურჯი, თბილი ისიკ-ყული  
ზიშხიმებდა.

თარგმნა მ. ხმრბიანმა.



ნაწარმი თაღლითიე ყოფილა!

ამ ცოტა ხნის წინათ, რომში გაიმართა იმ  
ისტორიკოსთა სემინარი, რომლებიც რომის  
იმპერიის პერიოდს იკვლევენ. დღის წეს-  
რიგში ბევრი საკითხი იდგა, მაგრამ ერთმა  
მათგანმა ყველა დაჩრდილა. ისტორიკო-  
სებმა მოაწყეს „სასამართლო პროცესი“,  
რომელზეც ბრალდებულად გამოყვანილი  
იყო... იმპერატორი ნერონი. სწავლულებმა  
უტყუარი საბუთებით დაამტკიცეს, რომ  
ნერონი არა მარტო მკვლელი და ცეცხლის  
წამყიდებელი იყო, არამედ სახელმწიფო  
მასშტაბით თაღლითიც. მაგალითად, მან  
თვითნებურად შეამცირა მონეტების ზომა  
და, რამდენიც მოესურვებოდა, იმდენს მო-  
აჭრევინებდა ხოლმე. ამის გარდა, იგი რო-  
მის ვალუტის კურსს სისტემატურად დაბ-  
ლა სწევდა და მონეტაში ოქროს რაოდენ-  
ობას ფარულად შვიდი პროცენტით ამცო-  
რებდა.



ღორმუცელა „მარსკვლავები“

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის სამ-  
ხრეთით, 200 კილომეტრზე მდებარეობს  
უაიტომოს სახელგანთქმული გამოქვაბუ-  
ლები. მიწისქვეშა ლაბირინთის მღვიმეებში  
მალა რომ აიხედავ, იფიქრებ, ვარსკვლავე-  
ბით მოქედილი ცა დამყურებსო თავს. რა-  
საკვირველია, აქ არც ცაა და არც ვარსკ-  
ვლავები; მღვიმეთა თაღები მოფენილია  
ქინქლა „არანოკამა ლუმინოზა“ ჭუპრე-  
ბით — მანათობელი ქიებით. გამოქვაბუ-  
ლის დამთვალიერებელმა სრული სიჩუმე  
უნდა დაიცვას. ოღნავ ჩქამსაც კი ტიები  
შუქს აქრობენ. არ გეგონოთ, ისინი ასე სი-  
ჩუმის სიყვარულით იქცეოდნენ, არა, ეს მა-  
თი ნადირობის ხერხია. თითოეული ჭია  
თაღიდან ძირს ეშვება მეტრნახევარი სიგ-  
რძის ლორწოიანი ძაფით. მწერები, მათ  
შორის თვით „არანოკამებიც“, „ცოცხა-  
ლი შუქისკენ“ მიილტვიან და წამსვე მახე-  
ში ებმებიან. ჭია ძაფს თავისკენ სწევს,  
მსხვერპლს ხანსლავს და გამაძლარი ათჯერ  
მეტი ძალით ანათებს.



**„ციცქანა  
თავგადასავალი“**

ვლადიმერ  
ასლამაზიშვილი

მწერალ ვლადიმერ ასლამაზიშვილის ნაწარმოებები ხშირად ქვეყნდება საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად მან ცალკე წიგნად გამოსცა მოზრდილი მოთხრობა — „ციცქანა თავგადასავალი“.

ციცქანა, ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, უცნაურად გაჩნდა ამ ქვეყანაზე. იგი, უფრო სწორად პალტოსლილისთავი ან ი, ძონძებსა და ჩვრებში გამონვეული თოჯინა, ერთმა უძირსვილო დედაბერმა იპოვა თავის ბოსტანში...

დედაბერი ბუნებით გულკეთილი და მოსიყვარულე გახლდათ, მან საგულდაგულოდ გაასუ-

ფთავა თოჯინა, შინ წაიღო და ახალ სამოსელში გამოაწყო — ზღვასავით ლურჯი თავსაფარი შეუკერა, ხალათი ჩაცვა, აბრეშუმის ძაფისაგან ქოჩორი გაუკეთა, ფანქრით ცხვირ-პირი მიახატა.

მერე დედაბერმა ინატრა — ნეტა ლაპარაკი შეეძლოს ჩემს თოჯინაბიჭსო; მერე კიდევ ინატრა — ნეტა მოძრაობაც



სიხანს თავგადასავალი

შეეძლოსო და სასწაულებრივად ყველაფერი აუხდა კიდევ. ბოლოს სახელიც შეურჩია — „ციცქანა“ დაარქვა...

ამის შემდეგ იწყება უცნაურობებით აღსავსე თავგადასავლები ჩვენი ციცქანა ბიჭისა.

„ციცქანას თავგადასავლის“ გაცნობა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სათავგადასავლო ლიტერატურის მოყვარულებს.

წიგნი გამოსცა „ნაკადულმა“, 20.000-ანი ტირაჟით.

**„აბრეშუმა“**

მარგო თომაძე.

მარგო თომაძის ახლახან გამოსული წიგნი „აბრეშუმა“ წარმოადგენს პატარ-პატარა ზღაპრების კრებულს. ამ ზღაპრების მთავარი გმირები ფრინველები, ცხოველები და მწერებია. ისინი სხვადასხვა სიტუაციაში არიან წარმოდგენილნი, მაგრამ რაც არ უნდა უჭირდეთ, რა მდგომარეობაშიაც არ უნდა აღმოჩნდნენ, მაინც ინარჩუნებენ დიდსულოვნებას, სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს. ხანდახან გვხვდება ჯიუთი, თავნება პერსონაჟებიც, მშობლების დარღვებას რომ არაფრად აგდებენ. ასეთი გახლავთ, მაგალითად, კურდღლის ბაჭია, რომელმაც უფრად არ იღო დედამისის გაფრთხილება და კინაღამ მელაკუდას მსხვერპლი გახდა. აქვეა დაბეჭდილი მოჯირითე კუს ზღაპარი, რომელმაც თავისი სიტყვამოსწრებულობით ქირქილა ხვლიკი გააოცა.

ამ ზღაპრების ერთ-ერთი გმირია ყრანტალა,

თავისთავზე შევარდნული ყვავი, რომელსაც თავისი ბახალა ყველსავე ლამაზი ჰგონია, ლეში კი — ყველაზე გემრიელი საკვები, თავისი ჩხავილი გალობად წარმოუდგენია. თუ იცით, რამ მიიყვანა იგი ასეთ სასაცილო მდგომარეობამდე? სწორედ რომ უსწავლელობამ ამიტომაც ჰქვია ამ მოთხრობას — „ყვავო, წადი სკოლაში“.

წიგნში ბევრი სხვა საინტერესო ზღაპარიც გვხვდება. მათი წაკითხვა კიდევ ერთხელ ჩაგაფიქრებთ საკუთარ თავზე, თქვენს საქციელსა და მოქმედებაზე, დაგებმარებათ ცხოვრებაში სწორი გზის არჩევაში.

წიგნი გამოსცა „ნაკადულმა“. მისი რელაქტორია ნ. ჩირაძე, მხატვრულად გააფორმა ე. ამბოკაძემ.



**ბამარჯვება თავგებს დარჩათ**

სამხრეთ ავსტრალიის ქალაქ კუბერ-პედის ერთმა მკვიდრმა, კვირადღეს, ქალაქგარეთ დასვენება გადაწყვიტა. ჩაქდა მანქანაში, ჩართო ძრავა, მაგრამ იგი რატომღაც არ ამუშავდა. კაცმა მანქანას კაოტი ახადა და გაოგნებული კინაღამ უკან გადავარდა — სამასზე მეტმა თავგმა ერთბაშად ისკუბა მისკენ... ეს იყო პირველი ნიშანი იმ უბედურებისა, რომელიც მალე დაატყდა ქალაქს. თავგთა ლეგიონებით გაივსო კუბერ-პედი. ამ მოვლენის გამოშვები მიზეზი ვერაფერს გამოიცნო, სამაგიეროდ დაუყოვნებლივ განახორციელეს მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიება — ადელანდის შტატის დედაქალაქიდან გამოიწერეს კატების მთელი არმია. მაგრამ კატებმა — თავგებთან ომის ამ დიდმა „სპეციალისტებმა“

ვერაფერი გააწყეს. მათ ერთი კვირის შემდეგ სამარცხვინოდ შიატოვეს ბრძოლის ველი, თანაც ისე იყვნენ ღონემზდილები, შინისკენ ხოხვა-ხოხვითა ბრუნდებოდნენ.



**100.000 კილომეტრი ფხინი**

თავისი სიცოცხლის მანძილზე რამდენ კილომეტრს გადის ადამიანი ფხინით? ამ კითხვას უცებ პასუხის გაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია. გათვალისწინებული უნდა იყოს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში, ქალაქელისა და სოფელელის დღიური „კილომეტრაჟი“, პროფესია, ცხოვრების წესი და ბევრი სხვა რამ. აღნიშნული პრობლემით დაინტერესდნენ ინგლისელი სტატისტიკოსები, რომლებმაც გამოიანგარიშეს და მიიღეს მრგვალი ციფრი: 100.000 კილომეტრი. მათი აზრით, ამ მანძილს გადის ჩვეულებრივი ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე, რაც საკმაოდ შთამბეჭდავია — ორნახევარჯერ მეტია ეკვატორის სიგრძეზე.



# ჭაქმათური

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოტა ინფანტივილი

## ბავშვები და საჭაქმათორომანტიკა

ჭაქმათოს ჯადოსნური სამყარო თავდავიწყებით იტაცებს, როგორც დიდებს, ისე პატარებსაც. „ეს თავდავიწყება ბავშვობიდანვე დამეუფლა და რაღაც ვერ ვამჩნევ, რომ რაც წლები გადის, ცხრებოდეს“, — ამბობს ნონა გაფრინდაშვილი თავის წიგნში „არსი ჩემი ცხოვრებისა“.

დიდა ჭაქმათოს აღზრდელობით მნიშვნელობა. აი, რას წერდა „პრავდა“ 1988 წელს: „ჭაქმათო ჩვენში დიდი ხანია გახდა მასების კულტურული აღზრდის ერთ-ერთი ფაქტორი. ჩვენ ვფასებთ ჭაქმათს, ამ ბრძნულ თამაშს, რომელიც შეცნობისა და ხელგონების ზღვარზე დგას, რადგანაც მასში მხატვრული შემოქმედების უმდიდრესი ელემენტებია. ჭაქმათი ადამიანს უწინთარებს მეთოდურობასა და თანმიმდევრობას, გასაქანს აძლევს ანალიტიკურ ნიჭს, შემოქმედებით ფანტაზიას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ჭაქმათი ბრძოლა, სადაც გამარჯვებისათვის საჭიროა დიდი შეუპოვრობა, გაბედულება, რკინისებური ნებისყოფა...“

„ჭაქმათში ინტენსიური მეცადინეობის ათეული წლები მანძილზე გავიგე, რომ მისგან ბევრი რამით ვარ დავალბებული...“ (ნონა გაფრინდაშვილი. „არსი ჩემი ცხოვრებისა“).

ნორჩმა მოჭაქმათებმა უნდა განიცადოს ის ევოლუცია, გაიაროს ის გზა, რაც საუკუნეების მანძილზე გაიარა ჭაქმათმა. ჭაქმათის ევოლუციის მიხედვით, კომბინაციური თამაში წინ უსწრებდა პოზიციურ თამაშს. დიდოსტატი რიხარდ რეტი (1889-1929) ამბობს: „ჩემი უნდა ვისწავლოთ კომბინირება, ვი-

ღრე პოზიციურ თამაშს მოვსინჯავდით“. მსოფლიოს ექსპერტიზის მაქს იევიც პირველი რიგში კომბინაციური ნიჭის განვითარების აუცილებლობას ამტკიცებს.

აღვნიშნავთ, რომ ბავშვის აზროვნება კონკრეტულია და რადგან შეიძლება ითქვას, რომ პოზიციური თამაში აბსტრაქტულია, ხოლო კომბინაციური — კონკრეტული, ამდენად კომბინაციური თამაში ბავშვის გონებრივ სამყაროს უფრო შეესატყვისება.

ამასთან დაკავშირებით გაცნობთ ჩემი აღზრდის შემოქმედებს. პარტიები და დაბოლოებანი ნათამაშევიან ხვადანსვა დროს სკოლაში დელო და დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების მიერ. თქვენ დინახავთ, რომ ნიჭიერ ბავშვს — თუ მისი აღზრდა-განვითარება სწორი გზითა წარმართული — შეუძლია შექმნას სრულფასოვანი საჭაქმათო ნაწარმოები.

8 წლის მებრძოლთაგონსან გიორგი ვარდოსანიძის მიერ განხორციელებული კომბინაცია თავისუფლად შეიძლება დავაუყენოთ მაღალკლასიციური მოჭაქმათის შემოქმედების გვერდით. ეს მომხიბვლელი დაბოლოება გათამაშდა თბილისის ნახევარფინალში (უმცროსი ასაკი, I-V კლასი) 1957 წელს მეოთხეთანაგონსან 10 წლის ს. ძუგავეთან.

### ძუგავენი



### პარდოსანიძე

1. g5 hg 2. lhx+ მფგ 3. ეხ8 II ამ სვლაში შერწყმულია ორი იდეა: 1. ჩათრევა და 2. გატყუება.  
3. ... ლხ8 4. მე7+ მფგ 5. ლ:hx+ შავები დანებდნენ. ამვე წელს 6 წლის ირაკლი გუგუნიძემ (V თანრიგი) შექმნა შესანიშნავი მინიატურა.

### პარტი № 8

სკანდინავიური დაცვა  
1. e4 e5 2. ed ლ:d5 3. მც8 ლe6+

აქ თამაშობენ 8... ლაწ. 4. კე2 ლფ6. შავები არღვევენ განვითარების პრინციპს. პირველი ოთხი სვლიდან მათ ლაზიერით გააკეთეს სამი სვლა!


5. მფ3! ყოჩაღ! თეთრები მოწოდების სიმაღლეზე არიან. ისინი უგულვებელყოფენ გ2 პაიკზე მუქარას და განაგრძობენ განვითარებას. (იხ. „პიონერის“ 1975 წლის № 4, გაფრინდაშვილი — სერვატი).  
5. ... კწ 6. მჩ4.

კონკრეტული თამაშის დასაწყისი. მართალია, თეთრები განვითარების დამთავრებამდე იწყებენ აქტიურ მოქმედებას, მაგრამ ეს გამართლებულია პოზიციის მოთხოვნებით, კონკრეტული გათვლებით, რაც გამოიწვია შავების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა 3... ლფ6+? და 4... ლფ6?

6. ... ლფ6 7. მძ5! თეთრები ინიციატივას დაეუფლენ.  
7. ... ლფ6? 8. კხ5! კ:ე2 9. ლ:ე2! შავები დანებდნენ. — ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ამ პარტიას ბრწყინვალე, უფრო მოზრდილი ასაკისთვისაც კი.

6 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილმა მესამე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში (ლენინის რაიონის პიონერთა სახლი, ნორჩ მოჭაქმათეთა კლუბი „ნაკადული“) 1966 წელს 9 წლის თქომეთიანთან ესპანურ პარტიაში ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებას მიაღწია.

### მომეთიანი




### აზმაიფარაშვილი

მწვევი პოზიციაა. თეთრები უტყვენ მეფეს, მაგრამ შავების კონტრთამაში იმდენად სახიფათოა, რომ მცირედი დაყოვნებაც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს.  
22. მწ5!! შესანიშნავი კომბინაციური დარტყმა, რომელიც გამართლებულია შემდეგი ვარიანტით: თუ 22... გფ, მაშინ 23. კ:წ ეწ—ე8 24. კ:ჩ7+! მფჩ8 25. კგ6+! მფგ8 26. ლჩ7+

მფჩ8 27. ლ:წ7× 22... კ:ეწ 23. კ:ჩ4! შავები დანებდნენ.  
ნორჩმა მოჭაქმათებმა პარტიის დაბოლოება ისე ჩაატარა, როგორც ნამდვილმა ოსტატმა!

ახლა გთავაზობთ დაბოლოებას, რომელიც გათამაშდა 1955 წელს პიონერთა სახსხლეში მებრძოთე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში. თეთრებით თამაშობს 9 წლის თენგიზ კიკელიძე, შავებით 7 წლის ნოდარ ღვინიანიძე.

### ღვინიანიძე



### კიკელიძე

სვლა შავებისა. შავებმა მახვილგონივრული სვლით აიძულეს მოწინააღმდეგე დანებებულიყო რამდენიმე სვლაში გარდუვალი შამათის გამო.

### ველით თქვენს პასუხს

„პიონერის“ 1976 წ. № 12-ში გამოქვეყნებული ჭუმბერ ლაცაბიძის ამოცანაში პირველი სვლაა ლაწ—მწ5!

სწორი პასუხები გამოგვანეს: ან. შიოშვილმა (საგარეო, ნიოწმინდა), თ. მეტრეველმა, ბ. გურგენიძემ (რუსთავი), ნ. ჯოჯიაშვილმა, მ. კოჭუაშვილმა (ქარელი, დირბი), თ. ფირცხალაიშვილმა (ლანჩხუთი), დ. ფიცხელაურმა (ყაზბეგი), თ. ნადირაშვილმა, ტ. ტაბატაძემ (ბათუმი), ს. ნერგაძემ, ლ. ლეჟავამ (ქუთაისი), ა. ნოზაძემ (საჩხერე, ჯალალთა), გ. ტყეშელაშვილმა, ლ. თ. წურწუშიემა, ზ. და თ. წურწუშიემა (ცხაპია), ნ. ცინცაძემ (სამტრედია), თ. ლაფაჩიშვილმა (საგარეო), ზ. მუჯირიშვილმა, მ. კოჭუაშვილმა, ლ. დილმელაშვილმა, გ. სანიკიძემ, მ. იასეშვილმა, რ. გეწაძემ, მ. ბერბიჭაშვილმა, შ. იათაშვილმა, ზ. და პ. შელიემა, გ. ხელაშვილმა, (თბილისი) გ. ხაბულიანმა (ცაგერი), რ. კლდიაშვილმა (ქვედა სიმონეთი).






თუ გინდა რომ, ხრახნიანი თავსაცობი მჭიდროდ მოერგოს ბოთლის ყელს, თავსაცობში რამდენიმე წვეთი თაფლის სანთელი ჩააღვენთ.

თერმომეტრს თუ ვერცხლისწყლის სვეტი გაუწყდა, ნუ გადაადებ. თერმომეტრი ცხელ წყალში ჩადე. სინდიყი მძლავრად აიწვეს და სვეტი გამოთვლდება.

ლითონის ქვაბს სახე-

ლურები ადვილად უხურდება, ადექი, სახელურებს პლასტმასა დაახვით და მორჩა, დიასახლისს ხელები აღარ დაეწვება.

საბავშვო ეტლი კიბეზე ძნელი ჩასატანია. მოხსენი მას რეზინის საბურავები და თვლებს თასმა ან თოკი ჩამოაცვი. საბავშვო ოთხთვალა „უველგანმავალი“ ტრაქტორივით იქნება და სულ სრიალსრიალით აივლ-ჩაივლის კიბეებზე.



## საკითხავი

<p>ა. ჩახანძმა — დიდი ზემის მოლოდინში (ნარკვევი) გარეკ. 2 გვ. 3</p> <p>ბ. ხანთასი — ბესიკის ოცნება (ლექსი) 3</p> <p>ვ. მარბაზივილი — თრიალეთის ციალი (მოთხრობა, დასასრული) 4</p> <p>დ. იპარლაშა — გასაუბრება მომავალთან; საგაზაფხულო; სიყრმის ფერადები (ლექსები) 8</p> <p>ს. აბდულაძე — საღვურის დაბადება (ლექსი) 10</p> <p>შ. გიგაშვილი — აფთიაქის ბიჭი (მოთხრობა) 14</p> <p>წ. ფაილძე — პიონერული ცხოვრება ჯაფხულში როლი წყდება (წერილი) 14</p> <p>ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ო რ გ ა ნ ი ჯ ა ც ი ე ბ ი — ს ი ე მ ა ჩ ვ ე ნ ი კ ო ნ კ უ რ ს ი 16</p> <p>თ. ბარსაშვილი — ვიტამინების მნიშვნელობა მოსწავლის ჯანმრთელობისათვის (წერილი) 17</p> <p>ყ. მუთალიბოვი — მოვალეობა. (ლექსი, თარგმანი თ. ჯან-</p>	<p>გულაშვილისა) 19</p> <p>ს. ჩახანძმა — გერმანელი გოგონა (ლექსი, თარგმანი თ. ჯან-გულაშვილისა) 19</p> <p>არნ. გიგაშვილი — ეროვნული პარკების პრობლემა საქართველოში (წერილი) 20</p> <p>მ. შავლიაშვილი — ზურა და ბექა (მოთხრობა) 23</p> <p>ბ. აბაშანიძე (დაბადების 70 წლისთავი) აისი 25</p> <p>მ. ჯანაშვილი — ტურგუნი მთებში მიდის (მოთხრობა, თარგმანი მ. ხერგიანისა) 27</p> <p>ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე 29</p> <p>ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი 29</p> <p>მ ხ ე დ რ ი ო ნ ი 31</p> <p>ს ა ჯ რ ი ა ნ ი ს ხ ე ლ შ ი 32</p> <p>თ ა მ ა შ ო ბ ე ბ ი გარეკანის 3 გვ.</p> <p>ც ს რ ა კ ლ ი ტ ე ლ ი გარეკანის 3 გვ.</p>
---	--

გარეკანის მხატვრობა 128-ე საშუალო სკოლის მოსწავლის პაბატა შიკლაურიანს.



საქ. კვ ცვ-ის  
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შვლია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭორია, ზურაბ ლეჟავაძე (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინი, ლევან ჩიქვანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
ტელეფონები:  
რედაქტორის—93-97-05  
93-31-81  
პ/მგ. მდივნის  
93-97-08 93-53-05  
განყოფილებების—93-97-02  
93-97-01

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14.  
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
გადაეცა ასაწყობად 23/IV-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-77 წ. ქალაქის ფორმატი 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.  
შეკვ. № 1025. ტირ. 146.000. უე 08453.

ფახი  
20  
კაპიკი

რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



თამაშში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს 2-დან 20-მდე ბავშვმა.

თამაშისათვის საჭიროა ორი დიდი ზომის ბურთი, ანუ „დიდი დათვისი“.

მოედანზე შემოხაზავენ წრის (რადიუსით თხუთმეტ მეტრამდე). წრის ორ მოპირდაპირე მხარეზე, წრიდან 3-5 მეტრის დაშორებით მონიშნავენ „ტუორცნის“, ანუ „ბურთის გაგორების“ ხაზებს.

მოთამაშენი გაიყოფიან ორ გუნდად. ერთი გუნდი თამაშის დამწყებია — ბურთის („დიდი დათვისი“) გამგორებელია, მეორე — „დამხვედრი“.

მოთამაშენი მოეწყობიან გაგორების ხაზთან. კენჭისყრით გაიკვება, რომელია დამწყები გუნდი. ამ გუნდის დამწყები მოთამაშე ღებება ხაზზე და ბურთს გააგორებს მეტოქისაკენ. ისინი ატეხენ ძახილს: „დიდი დათვისო“.

ამ დროს მოწინააღმდეგე („დამხვედრი“) გუნდის დამწყები მოთამაშეც ღვას თავის გუნდის ხაზზე და ისიც გამოაგორებს მეორე ბურთს, მაგრამ ისე და იმ დროს, რომ თავის ბურთი, გამოგორებულ ბურთს წრიდან გამოხვლამდე მოარტყას (წრის გარეთ მორტყმა არ ითვლება). თუ ეს ვერ შეძლო, დამწყებ გუნდს ეწერება ერთი ქულა, ბურთებს კი ახლა გუნდების სხვა წევრები გააგორებენ. როცა დამწყები გუნდის ყველა მოთამაშე გააგორებს ბურთს, მის გაგორებას იწყებენ მოწინააღმდეგე (დამხვედრი) გუნდის მოთამაშენი.

რომელი გუნდიც მეტ ქულას დააგროვებს გამარჯვებულად იხ არის.


**მეორე ვარიანტი:** თუ გაგორებულ ბურთს მოწინააღმდეგის მოთამაშემ ბურთი ვერ მორტყა, „ჩაჭრილია“. ჩაჭრილის ადგილს იტერს მისი გუნდის მომდევნო მოთამაშე. დამწყები გუნდის მოთამაშებს კი იმდენჯერ ეძლევათ ბურთის დამატებითი გაგორების უფლება, რამდენჯერაც მოწინააღმდეგენი თავისას ააცდენენ.

მორტყმის შემთხვევაში გაგორებელი ჩაჭრილია და მის ნაცვლად თამაშში ებმება გუნდის მომდევნო მოთამაშე.

რომელი გუნდის მოთამაშენიც ადრე ჩაიჭრებოდა, დამარცხებულნიც ისინი არიან.

**მესამე ვარიანტი:** ბურთს ყოველთვის გააგორებს გამარჯვებული მოთამაშე, მასალაზე, ხან ერთი გუნდი იქნება ბურთის გამგორებელი, და ხან მეორე (თითოეულ გაგორებაზე მოთამაშის „გამარჯვების“ და „ჩაჭრის“ მიხედვით).

**მეოთხე ვარიანტი:** თამაში მიმდინარეობს წინასწარ დათქმულ ქულებამდე (10, 15, 20, 25...) სხვა მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც წინა ვარიანტებში. რომელი გუნდიც ადრე შეასრულებს ქულათა დათქმულ რიცხვს, გამარჯვებულიც ის არის.



თამაშისათვის საჭიროა ერთი დიდი ზომის ბურთი — „დიდი დათვისი“ და პატარა ბურთები („დათვის ბელები“) ყოველ ორ



მოთამაშეზე — თითო ცალი. მოედნის დახაზვა და თამაში ძირითადად ისევე ხდება, როგორც „დიდი დათვისი“, მხოლოდ გაგორებულ ბურთს — „დიდი დათვის“ მოწინააღმდეგე გუნდის ყოველი მოთამაშე ესვრის თითო ცალ პატარა ბურთს. რამდენსაც მოახვედრებენ, იმდენი ქულა ეწერებათ. შემდეგ ბურთს ამგვარადვე გააგორებს გუნდის ყველა დანარჩენი მოთამაშე.

ამის შემდეგ გუნდების მდგომარეობა შეიცვლება. ბურთის („დიდი დათვისი“) გაგორებას იწყებენ მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშენი.

თამაშის შემდეგ რომელ გუნდსაც მეტი ქულები აღმოაჩნდება, გამარჯვებულია.

**მეორე ვარიანტი.** თუ პატარა ბურთები დამხვედრი გუნდის ყველა მოთამაშემ ააცილა, ბურთის გამგორებელ მოთამაშეს უფლება ეძლევა ბურთი იმდენჯერ გააგოროს, რამდენჯერაც ეს მოხდება.

**მესამე ვარიანტი.** თამაში გრძელდება წინასწარ დათქმული ქულების რიცხვის (21, ა... 101...) შესრულებამდე.

შენიშვნა: თუ ზამთარში თამაშობთ და ამინდიც ხელს გიწყობთ (გუნდა იკვრება), პატარა ბურთების მაგიერ, სასურველია თოვლის გუნდების გამოყენება.

**გ ა მ ო ც ა ნ ა**

იგი დიდი სიკეთით და მაღლით არის ცნობილი, მარტოს ფეხზე ღგომა უჭირს, მხარში ფეხს დგამს.

ზოგს ქარვა აქვს სამკაულად, ზოგსაც კიდევი გიშერი; თვითონ უნდა გაშიცნოს, მე ვერაფერს გიშველი.

რაც კარში შესულ ბურთს ჰქვია შენთვის ცნობილი ხომ არი? კიდური ბგერის ადგილას გადასვი წინა ხმოვანი. ნისლის მეორე სახელიც გეცოდინება ნამდვილად, და ალბათ შუა მარცვალსაც ჩამოაშორებ ადვილად. ახლა არც მათი შეკრება გაგიძნელებდათ პატარებს. დატრიალდება და მყისვე მსოფლიოს შემოგატარებთ.

შ. ამირანაშვილი.

**გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი**

ერთ სტუმარს მასპინძელი ჰყავს, ის მასპინძელი სტუმარს როგორც კი გულში ჩაიკრავს, — სტუმარი ქრება უშაღ.

იგი მორცხვი მცენარეა, ხელის ხლება აშინებს, ოღნავ ხელს თუ შეახებ — იკუმშება მასინვე.

აქ ჩანჩქერი თავაღმა ყირამალა დამდგარა, ზევით ილტვის მიწიდან მისი შხეფი ანკარა.

გიორგი შეთაბაური.

1 უხილაგია... მოვა და ტჰვედ უვარდება ყველა, ვერ უმკლავდება ვერავინ, არც არვინ ითხოვს შევლას.

**2**

შვიდი ძმა და შვიდივე — აღამიანთა მსახური, რიგითა სცვლიან ერთმანეთს, ზამთარია თუ ზაფხული.

3 მთაში ნაშობი დღედლაშ ბარისკენ მიეშურება, დაღლა რა არის, არ იცის, გვიყვარს იმისი ყურება.

ალექსი ნამორაძე.

**პ ა ს უ ხ ე ბ ი**

№ 4-ში მოთარგმნულ „ცხრაპლიტულზე“.

პ რ ო ს ვ ო რ დ ი

შვეულად: 1. ხარი; 2. ელენე; 3. ილიკო; 4. წითელი; 6. ივერია; 7. თოლია; 8. გაგნება; 11. ინდოეთი; 12. კიევი; 13. გოგია; 18. ელეგია; 19. ლვოვი; 20. ავრორა; 24. ურალი; 25. ისკრა; 28. ბამი.



**თარგმულად:** 2. ევფრათი; 4. წიფელი; 5. ალიონი; 8. გველი; 9. პალმა; 10. ვარდი; 14. ინა; 15. ირემი; 16. გაგრა; 17. ნოე; 21. არენა; 22. რიონი; 23. პირეი; 26. ანგარა; 27. რაკეტა; 29. იამაიკა.

ამოცანა 18 ფრინველი  
გამოცანები 1. სიმინდი 2. კვირის დღეები.

2 155  
2 155  
1/6  
15

საქართველო  
ბიბლიოთეკა



პაატა წილაურის ნახატი  
გამოფენილია გავფტთა  
ხელოვნების მუზეუმში